საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი 12 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ხისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 130 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 130

კვირას, 13 ივნისს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე პედაგოგის

**კონსტანტინე თეოხარის ძის მკურნალის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მისი ოჯახობა აცნობებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს. (1839 2—2)

---

ფოთის რკინის გზის რაიონის ს. ს. დ. მუშ. პარტიის კოლექტივი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს დაუღალავი მოწინავე ბებრძოლ ამხანაგის

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაიას**

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალების გამო. გამოსვენება მოხდება სადგურ ფოთიდან და დაკრძალვა ნახუტურის ეკლესიის გალავანში კვირას, 13 ივნისს ნაშუადღევის 3 ს. (1862 1—1)

---

ფოთის გადამტვირთავ-გადმომტვირთავი მუშათა წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს საუკეთესო ამხანაგის ენერგიით სავსე მუშაკის

**ერმალო ცხადაიას**

უდროოთ გარდაცვალებას.

---

ფოთის რკ. გზის პროფესიონალური კავშირის რაიონული გამგეობა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს მათ მოწინავე ამხანაგის

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაიას**

უდროვოდ გარდაცვალების გამო.

---

ფოთის რკ. გზის რაიონის კულტურულ განმანათლებელი კომისია ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს განათლების ასპარეზზე დაუღალავ მშრომელ ამხანაგის

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაიას**

უდროვოდ გარდაცვალების გამო.

---

ფოთის რკინის გზის სასწავლებლის მასწავლებელნი ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ განათლების გავრცელებისთვის დაუღალავ მშრომელის

**ერმალო თეიმურაზის ძის ცხადაიას**

უდროვოთ დაკარგვის გამო.

---

ფოთის რკინის გზის სადგურის ქალთა წრე ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ქალთა წრის ორგანიზაციის დამაარსებელ და მოწინავე მუშაკის

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაიას**

უდროვოდ გარდაცვალების გამო.

---

ფოთის რაიონული გამგეობის მუსიკის გუნდის მთელი შემადგენლობა გამოსთქვამს დიდ მწუხარებას ამ გუნდის დამაარსებელი მოწინავე მოღვაწე ამხანაგს

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაიას**

უდროვოდ გარდაცვალების გამო.

---

ს. ს: რკ. გზის სად. ფოთის მილიციის შემადგენლობა დიდ მწუხარებას გამოსთქვამს მებრძოლ ამხანაგის

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაიას**

გარდაცვალების გამო.

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ლიზა შვილებით, ძმა ლევანი და რძალი იულა ცხადაიები, სიმამრი ივანე, სიდედრი ოლღა, ცოლის ძმები ვლადიმერ და გრიგოლ პირტახიები და ცოლის და ნატალია ქმრით ალექსანდრე შენგელიათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 თიბათვეს ქალაქ ფოთში მოხდება დაკრძალვა მათთვის ძვირფას

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაიასი.**

---

უნუგეშოთ დარჩენილი მეუღლე ვალიკო (იგივე ვალერია) ილიას ასული და დედა ნინა ივანეს ასული ხოხაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი მეათე ბატალიონის კაპიტან

**შალიკო კონსტანტინეს ძე ხოხაშვილის**

ბრძოლის ველზე 1 ივნისს სოფელ ხულოში აჭარლებთან შეტაკების დროს გმირულათ დაღუპვა. პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, შაბათს, საღამოს 5 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. (1864 1—1)

---

რკინისგზელთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს რკინის გზელებს და საზოგადოებას, რომ 8 ივნისს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ფოთის რაიონული გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე და ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი მუშათა კლასის ინტერესებისათვის ამხ.

**ერმალო თეიმურაზის ძე ცხადაია**

(ნ. 1—1)

---

ექიმის **ირაკლი როსტომის ძის სურგულაძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, კვირას 13 ივნისს განსვენებულის საფლავზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში 12 ს. იქნება გადახდილი პანაშვიდი და ამავე დღეს გურიაში სოფ. გომახურში წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს განსვენებულის ძმა პეტრე სურგულაძე. (1867 2—1)

---

**თფილისის და მისი რაიონის**

ბაღების და მამულების პატრონებს ვსთხოვთ მობრძანდენ ბიუროს ბინაში კვირას, 13 ივნის, დილის 10 საათზე.

**განარჩევია საჭირადლებო კითხვები.**

(1869—1—1) კავშირის თავმჯდომარე ეს. შუბლაძე.

---

**სადურგლო და საზარაზო სახელოსნო ქალაქთა კავშირისა**

იღებს დამზადებას ყოველგვარ ხის სავნებისა, სახელდობრ: სასკოლო, საკანცელარიო, საოჯახო მხატვრულ ავეჯეულობისა, ზღუეს (паркетъ) და კარ-ფანჯრის მოწყობილობისა. სახელოსნო იღებს აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების მოწყობას. ცნობების მიღება და შეკვეთა შეიძლება ქალაქთა კავშირის სატეხნიკო და წარმოებათა განყოფილებაში პუშკინის ქუჩაზე, № 3. ტელ. № 8—10. (ნ. 4—1)

---

**კოსმოსი და ამხანაგობა**

**The Kosmos Frading K° Limited London.**

თფილისი, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა

**დიდი ამორჩევა მანუფაქტურისა**

დამზადებული კაცის კასტიუმებისა, პალტოებისა, ძაფებისა, თასმებისა და სხვა.

**დიდი ამორჩევა რკინეულობის საქონლისა:**

სახელოსნო და სამურლო ფოლადისა, ქლიბებისა, გასაღებებისა, ჩამოსაკიდი და ყუთების კლიტეებისა, რგვალი, ლენტისა და ყოველგვარი ხერხებისა, ტყავის „ლინკონო“ და „ბოლატა“-ს რემნები ყველა ზომისა, რემნების შესაკერი, ბოქლომები, მღაროში სახმარი ნიჩბები, ნაფტალინი, ლაქი ფეხსაცმელების და სხვა. ყველა საქონელი ინგლისური ნაწარმოებია. ამ დღეებში მოველით სხვადასხვა საქონლის ახალ პარტიას. ვაჭრობა სწარმოებს ბითუმათ. **ამხ. „ანგლოკოვის“ წარმომადგენლები.**

(1817—4—2)

---

**ჩემ მიერ მიცემული რწმუნება ინჟენერ-ტეხნოლოგ ნესტორ დიმიტრის ძე ცინცაძის სახელზე**

ჩემი საქმეების წარმოებისათვის როგორც სახელმწიფო ისე საზოგადო დაწესებულებებში, საქართველოში ყოველგვარ კონცესიების მისაღებათ, მიმდინარე წლის 2 იანვარს ქ. ბათუმში, ბათუმის ნოტარიუსის კ. კ. პრუსკის მიერ მოცემული, რეესტრი № 15 და ყოველგვარი მინდობა ბ. ცინცაძის მიერ გაკეთებული ჩემ მიერ მიცემული რწმუნების თანახმათ

**ვაცხადებ გაუქმებულათ.**

(1870—1—1) **გლეხ ალფრედის ძე გიზი.**

---

**მომარაგების სამინისტრომ**

თავის რწმუნებულათ და სავაჭრო აგენტათ ქ. ბათუმში დანიშნა დავით კახელაძე, მის თანაშემწეთ გ. საყვარელიძე. ბათუმშივე არსებობს მომარაგების სამინისტროს კანტორა, (სვიატოპოლკ მირსკის ქუჩაზე, რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების პირდაპირ). სამინისტროსთან კომერციულ საქმეთა გამო ქ. ბათუმში უნდა მიმართონ რწმუნებულს დავით კახელაძეს კანტორაში.

**მომარაგების სამინისტრო.** (ნ. 3—1)

---

**„ეშმაკის მათრახი“**

**№ 29**

გამოვა დღეს. ჟურნალში მოთავსებულია: საიდუმლო — თაგუნასი, ლექსები — შექანჯალიბთელის, ახალი მინ[illegible]ტურები — და სხვ. კარიკატურები: საგანგებო საჩუქარი, ძეგლი [illegible] ხელთუქმნელი, ხერხი სჯობია ღონესა... და სხვ.

---

**მეორე ქართული კლუბი**

(პლეხანოვის პროსპექტი № 129).

შაბათს, 12 ივნისს, კლუბის თეატრში წარმოდგენილი იქნება:

**ზიძე-ზიმამრი**

კომედია 3 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ანკარა, ნინონი, ნ. გოცირიძე, მეტრეველი, თავდგირიძე, სალაყაია. წარმოდგენაზე დასწრება უფასოა. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. **კვირას—ოპერეტკა, საზანდარი და კაბარე.**

(ნ. 1—1)

---

**არტისტიული საზოგადოების თეატრი**

კვირას 13 ივნისს, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს 10 წლ. არსებობის აღსანიშნავად გაიმართება

**საზეიმო საღამო**

1. პროფ. **ს. ავალიანი** სიტყვა: **ხელოვნე ის აღორძინება.**

2. **ალეების ცეკვა**

დრამატიული ეტიუდი 1 სურ. იოსებ იმედაშვილისა.

3. **რედაქციაში**

შარჟი 1 სურ. სვ. წერეთლისა.

მონაწ. ქ-ნი ე. ივერიელი, ავალიანი, ნ. წერეთელი. ბ-ნი ვ. მატარაძე, ნ. რიჟამაძე, ილორელი, გიგოშვილი, ორჯონიკიძე, ს. წერეთელი. პიესებს დასდგამს მსახიობი ვ. მატარაძე.

4. **პოეზია**

ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, დ. ახვლედიანი, ს. ერთაწმინდელი, ქანქათელი და სხვ. ა. ავალიანი და ნ. რიჟამაძე წაიკითხავენ ქართ. კლასიკების ლექსებს.

5. **მუსიკა** დუეტებს და არიებს ქართულ ოპერებიდან შეასრულებენ მომღერლები: ქ-ნი ნ. ფავლენიშვილისა ბ-ნი დ. აკოფაშვილი, ორჯონიკიძე და სხ. **დიდი თარხნიშვილების** მომღერალთა გუნდი შეასრულებს ძველ ქართლ-კახურ ეროვნულ სიმღერებს. მოცეკვავე: ნინო წერეთელი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 10—2 ს. 5—8 ს. თარი—მ. დევაძე. გამგე ვ. ავალიანი. როიალთან—გოლდმანისა. დასაწყისი სრულ 8 საათზე. (2—1)

---

**სახალხო სეირნობა**

კვირას, 13 ივნისს **დედათა და ბავშვთა დაცვის საზ.** მართავს

**ალექსანდრეს ბაღში სეირნობას**

ლატარეია-ალეგრით, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება ომში დაღუპულ გვარდიელების და ჯარისკაცების სასარგებლოთ. სეირნობის პროგრამა: 1) ლატარეია-ალეგრა, 2) ბავშვების თამაშობა დილის 11—$1^1/_2$ ს. და საღამოს 4—7 ს. ხელმძღვანელობას გაუწევენ „ბავშვთა სახლის“ ხელმძღვანელები. 3) კარუსელი, პტი-შვო, ცეკვა, აზიური და ევროპიული, ჭიდაობა, სიმღერა და სხვა. დუროვი გამოვა გაწვრთნილი პირუტყვებით, 4) ბუფეტი ცივი სასმელებით და ცივი საუზმით. ყვავილები, კონფეტები. 5) ორი ორკესტრი, ზურნა, შარმანკა. სეირნობის დიასახლისი ო. ა. ავალიანი და ო. ს. დოლიძე. პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ს. ი. დოლიძე.

(1866—2—1)

---

**სიღნაღის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის**

პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ამა წლის 30 ივნისს (ახ. სტ.) მოწვეულია ქ. **სიღნაღში,** საერობო გამგეობის ბინაზე სამაზრო საერობო

**ხმოსანთა მე-4 ყრილობა**

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ. 2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3) ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა. 4) თანახმად 2 ივლისის 1919 წლის კანონისა, უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ. 5) საერობო გამგეობის წევრთა, ი. ზ. კრაწაშვილის და ს. დ. ნატროშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. 6) მიმდინარე საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ხმოსანს უეჭველად დაესწრნენ ყრილობას.

**პრეზიდიუმი.** (ნ. 5—3)

---

## ისევ ოსებზე

ოსები კვლავ ამოძრავდენ. ისინი ფიქრობენ საქართველოს რესპუბლიკის დანგრევას და ჩვენს „ჩამორჩენილ“ კუთხეებში თავისი კულტურის შეტანას. ამ „კულტურის“ მეთაურნი არიან ყოფილი ძველი მოხელეები, ხოლო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საძირკველი ძველი, ჩვენს ხალხში საკმარისად ცნობილი „სტრაჟნიკები“. მათ ეჯავრებათ ჩვენი დემოკრატია, რომელმაც დაამხო ძველი წესწყობილება. მათ სძულთ ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც მათ აღმზრდელ და მასაზრდოებელ რუსეთის თვითმპყრობელობის სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს. ამ სამი წლის განმავლობაში, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში, ძველი პსიხოლოგიით და სულისკვეთებით გაჟღენთილმა წრეებმა რამოდენიმეჯერ მოახდინეს შეიარაღებული გამოსვლები. რესპუბლიკამ ბოლო მოუღო მათ გამოსვლებს და ყველგან დემოკრატიული წეს-რიგი დაამყარა. ოსებს კი ვებოდიშებოდით. გვეგონა, რომ შეიგნებდენ თავიანთ მოვალეობას რესპუბლიკის წინაშე. ამ ორი წლის განმავლობაში მათ ერთი ჯარის კაცი არ მიუციათ სახელმწიფოსათვის. ერთი შაური არ შეუტანიათ რესპუბლიკის ხაზინაში და როგორც პარაზიტები ცხოვრობდენ რესპუბლიკის დანარჩენ მოქალაქეების ხარჯზედ. ეს მათ არ იკმარეს. როგორც ეტყობა, მათ მეთაურებს გადაუწყვეტიათ, რომ უკეთესი იქნება და მოსაგებიც, თუ ცხინვალის რაიონში მცხოვრებ ქართველ დემოკრატიას დაიმონავებდნენ, მათ ქონებას ხელში ჩაიგდებდენ და ჩვენ მოქალაქეებს ხარკს დაადებდნენ კონტრიბუციის სახით ყოველ-დღიურ ხარჯებისათვის.

იმ ადამიანებს, რომელთაც ამ ორი წლის განმავლობაში არავითარი ვალი არ მოუხდიათ რესპუბლიკის წინაშე, სურთ ჩვენი მშვიდობიანობის სიყვარული ბოროტად გამოიყენონ. დღეს რესპუბლიკამ უნდა სთქვას—„კმარა!“ და მთელი თავისი სიძლიერით უნდა შეაგნებიოს თავაშვებულ ბრბოებს, თუ რას ნიშნავს რესპუბლიკანური წეს-რიგის დაცვა და მოქალაქის ელემენტარულ მოვალეობის ასრულების საჭიროება. აჯანყებულ ოსებს მეთაურობენ ჩრდილოეთიდან მოსული შეიარაღებული მოყაჩაღე ბრბოები. ასე ესმით კავკავის კომუნისტებს ხელშეკრულების ასრულება. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ მოსკოვის მთავრობამ ეს არ იცის რომ ის წინააღმდეგია თავისი „პერიფერიების“ ამნაირ გამოსვლებისაო. შეიძლება მართლაც ტაქტიკური მოსაზრებით დღეს არ უნდოდეს მოსკოვს გაამწვავოს დამოკიდებულება ჩვენს რესპუბლიკასთან. თუ ეს ასე არის, მით უარესი მოსკოვის მთავრობისთვის. მაშასადამე მას არ შესწევს ძალა ალაგმოს მისი ბანდები. რესპუბლიკის მთავრობა ერთხელ და სამუდამოდ ალაგმავს ქვეყნის მოღალატეებს. ის ვალდებულია სამუდამოთ ბოლო მოუღოს ამ ვანდეიას.

ის მკაცრი ზომები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა იძულებული ხდება მიმართოს მესამეთ აჯანყებულ ოსეთის რაიონის ასალაგმავათ, იქნება წმინდა თავდაცვითი აქტი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, ეს იქნება მოძალადეებთან და მტარვალებთან ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავათ, რესპუბლიკის და დემოკრატიის დასახსნელად.

## თანამედროვე კითხვები

XIV.

**პლეხანოვის ანდერძი.**

თეორიას ნუ დაივიწყებთო,—ამბობდა ხოლმე ხშირათ გ. პლეხანოვი. თითონ ის იყო დიდი და შეუდარებელი თეორეტიკოსი. ვისაც მეცნიერული მსოფლმხედველობა არ აქვს, ის პრაქტიკულ მუშაობაში ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს სწორედაო.

მსოფლმხედველობას ის არ ეძებდა მარტო წიგნებში. პლეხანოვი არ იყო მშრალი და გამომხმარი მწიგნობარი. თვალს ადევნებდა ცოცხალ ცხოვრებას, იქიდან გამოჰყავდა სოციალისტურის აზროვნების გამამტკიცებელი საბუთები, მერე ამ აზროვნებით განაგრძობდა იმავე ცხოვრების გამოკვლევას და შესწავლას.

ჩვენ გავიხსენეთ პლეხანოვი, რადგან დღეს ორი წელიწადი შესრულდა მისი გარდაცვალების შემდეგ, ის გარდაიცვალა იმ დროს, როცა ეგონა, რომ განხორციელდენ მისი პოლიტიკური და სოციალური იდეალები. სინამდვილემ მოატყუა ეს დიდი მოაზრე. რუსეთის მუშათა კლასმა ვერ გამოიჩინა სიმწიფე, მოინდომა სამოთხე დღესვე და მიადგა ჯოჯოხეთის კარებს. პლეხანოვი ამჩნევდა რევოლიუციის პირველ დღეებში, რომ ეს ასე მოხდებოდა. აფრთხილებდა მუშებს, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა ამ გაფრთხილებიდან.

მუშათა კლასს ეგონა, რომ თვითმპყრობელობის დანგრევა მაშინათვე სოციალიზმის კარს გაგვიღებსო. ამაში იყო მისი მთავარი შეცდომა. ეს შემცდარი აზრი შეითვისეს ბალშევიკებისაგან. ბალშევიკებმა კი ის გადმოიღეს ძველი და ახალი ნაროდნიკებისაგან. სწორეთ ესენი ამბობდენ ყოველთვის რომ დასავლეთის გზა რუსეთს არ გამოადგება, აქაური ხალხი თავისით შექმნის სოციალისტური რევოლიუციის წყაროებს.

პლეხანოვი ამბობდა და სწერდა,—პოლიტიკური თავისუფლება გზას გაუხსნის ბურჟუაზიულ წესწყობილებას, მერე ამ ნიადაგზე მომზადდება სოციალიზმის მოსაწყობი მასალები. ნაროდნიკები ამტკიცებდნენ,—არა, თვითმპყრობელობის შემდეგ ბურჟუაზია კი არა პირდაპირ სოციალიზმი უნდა გამეფდესო.

ამათი ნათქვამ-ნაწერი, ბალშევიკებმა გაატარეს სინამდვილეში და გაამართლეს ის, რისაც ეშინოდა პლეხანოვს.

მარქსიზმის მოწინააღმდეგე ფილოსოფოსებთან კამათში პლეხანოვი სწერდა სხვათა შორის:—თუ ადამიანის ნაფიქრალი და ნააზრევი არ შეეფერება გარეშე პირობებს, იმ სინამდვილეს, რომელიც არსებობს აზრებზე და ფიქრებზე [illegible] თუ გვიან მიიღებს მწარე გაკვეთილებს, გაისწორებს აზროვნებას, თუ მანამდის არ ჩავარდა უფსკრულშიო.

ამას სწერდა პლეხანოვი მაშინ, როცა ბალშევიკების რევოლიუცია თითონ ბალშევიკებსაც არ ელანდებოდათ. მერე გამოვიდენ ისეთი აზროვნობით, რომელიც არ უდგებოდა სინამდვილეს. იფიქრეს, რომ ეს სინამდვილე შეიცვლება ჩვენი აზრების და ფიქრების მიხედვითო. ეს იყო იდეალიზმი მარქსის და პლეხანოვის მატერიალისტური მსოფლმხედველობის მაგივრათ. ბალშევიკებმა მიიღეს მწარე გაკვეთილები. ახლა ცდილობენ რომ თავისი ფიქრები შეუთანხმონ იმ სინამდვილეს, რომელიც არსებობს ამ ფიქრების გარეშე. მოასწრებენ თუ არა უფსკრულის ნაპირიდან უკან დახევას, ამას გვიჩვენებს ახლო მომავალი.

პლეხანოვი ამბობდა,—თუ მუშათა კლასის ბატონობა დანარჩენმა ხალხმა არ მოინდომა, თუ მისი დიქტატურა დემოკრატიის სურვილზე არ დამყარდა რევოლიუცია დიდი ხნით დაიღუპებაო. ბალშევიკების წინაპრები იყვნენ რუსეთში მე-70—80 წლებში. ამათ უნდოდათ ერთი გადატრიალებით პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში აღება და სოციალიზმის ხელდახელ აშენება.

— რა მოხდება, რომ მართლა გამეფდენ ესენიო,—ფიქრობდა პლეხანოვი და სწერდა:—ოო, მაშინ სამარცხვინოთ დაეცემა რუსეთის სოციალისტური პარტიაო, ის იძულებული გახდება ხელში აიღოს ისეთი საქმე, რომლისთვისაც არ ეყოფა არც ღონე, არც შეგნება, ყველაფერი შეერთდება მის დასამარცხებლათ—მოუმზადებლობა, სხვა წრეების მტრობა, სოფლის ბურჟუაზიის სიძულვილი, ხალხის გულგრილობა და ჩვენი ეკონომიური ძალების განუვითარებლობაო.

თითქმის ორმოცი წელიწადია მას აქეთ, რაც გამოვიდა ის წიგნი (Наши разногласія), რომელშიაც ეს სიტყვები სწერია: თითქოს გუშინდელი დაწერილია... სიტყვა სიტყვაზე გამართლდა პლეხანოვის წინასწარმეტყველობა ბალშევიკურ რევოლიუციაში. ეს არ მოხდებოდა, რომ დიქტატურა ამართულიყო დემოკრატიის საძირკველზე, ხალხის უმრავლესობას რომ მოენდომებია ბალშევიკების გაბატონება. მაგრამ სწორეთ ამისთანა დემოკრატიული დიქტატურისთვის არ იყო შესაფერისი ეკონომიური ნიადაგი. ბალშევიკებმა გადაუხვიეს მარქსიზმს და ამ გადახვევით საუკეთესოთ დაასაბუთეს მარქსიზმი.

პლეხანოვმა შეუერთა რუსეთის მუშათა მოძრაობა დასავლეთის სოციალისტურ თეორიას. დასავლეთში გაატარა უმეტესი დრო თავისი სიცოცხლისა. იქ გალესა მეცნიერული იარაღი და მოაწოდა რუსეთის მშრომელ ხალხს,

## დღეს

გერმანიის არჩევნებში მეუმრავლესე სოციალისტებმა მიიღეს 100 ადგილი, დამოუკიდებლებმა—80, დემოკრატებმა 40, კონსერვატორთა, ზომიერ ნაციონალისტთა და ცენტრთა პარტიებმა თითოეულმა 60, კომუნისტებმა 2.

ნიტის მიერ ახლად შედგენილი კაბინეტი გადადგა. გადადგა აგრეთვე იტალიის პალატის თავმჯდომარე ორლანდო.

ფრანგული ცნობით წელს საფრანგეთში მოსავალს კარგი პირი უჩანს.

—

გენერალური შტაბის ცნობა.

11 ივნისი.

**ცხინვალის მიმართულებით. ზოტის ყელის რაიონში და გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით მზვერავთა მოქმედება.**

**სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.**

---

მშრომელმა ხალხმა ვერ მოიხმარა ეს იარაღი, ხელიდან გაუვარდა. შენების მაგივრად ის გრძნობიერებით ხელმძღვანელობდა ამ უკანასკნელ წლებში. ასე დამარცხდა, რადგან შორიდანაც ვეღარ ხედავდა თეორეტიულ სინათლეს—მარქსის და პლეხანოვის ნაანდერძევს. დამარცხდა ამიტომ მუშათა კლასი, თუმცა ის იმარჯვებს „წითელი რაზმის“ იარაღით. სწორედ ამ გამარჯვებაშია მისი დამარცხება. ის მოშორდა დასავლეთის სოციალიზმს და აღმოსავლეთში ეძებს ასპარეზს. ამ ძებნაში თან და თან ეკარგება სოციალისტური საგზალი და ითვისებს დასავლეთ იმპერიალისტების ოინებს. ის უნდა დაბრუნდეს უკან და მიიხედოს იქით, საითკენაც პლეხანოვმა გაუღო ფანჯარა.

როცა მისი გარდაცვალების ამბავი გაიგეს, პეტროგრადში შეკრებილი მუშები ხმა მაღლა გაიძახოდენ თავის ფაბრიკა-ქარხნებში,—უკან, პლეხანოვისკენ. ეს მაღალი ხმა მაშინ რჩებოდა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ჩვენ გვწამს, რომ რუსეთშიაც, თუ ის მოესწრო გამთელებას, მომავალი ეკუთვნის პლეხანოვს, ასე ტრაღიკულათ სიცოცხლეში განმარტოებულს და დაკარგულს. მშრომელი რუსეთი თვალს გაახელს, როცა მიბრუნდება უკან, პლეხანოვისკენ.

საქართველოს მუშათა კლასს არ დაუკარგავს პლეხანოვის ანდერძი. ის სარგებლობდა ამ დიდ ხანაში მისი იდეური მემკვიდრეობით. არც აწი დაივიწყებს თავის საყვარელ მასწავლებელს. საუკეთესო ხსოვნა იქნება შესწავლა იმ თეორეტიული სიმდიდრის, რომელიც დაგვიტოვა პლეხანოვმა. ვისაც უნდა, რომ შევიდეს მარქსიზმის და მთელი თანამედროვე მეცნიერების ტაძარში, ის ვერ ასცდება პლეხანოვის გზას. მის სახელზე საქართველოს მშრომელმა ხალხმა უნდა შექმნას სოციალისტური უნივერსიტეტი. ეს იქნება უკვდავი ძეგლი და სასიქადულო საქმე.

ხ. დევდარიანი.

## პრესა

არის ერთი რუსული თქმულება: **Съ больной головы на здоровую.** ეს ემართება „კომუნისტს“. გაღმა დაობს, იქნება გამოღმა შემრჩესო. ჩვენ ვამბობთ „ერთობაშიაც“ და „ბორბაშიაც“, რომ „კომუნისტი“ გაურბის იდეურ ბრძოლას. ამითი ეხსნიდით სხვათა შორის მის „ეჭვებს“ თფილისის ისპოლკომის მოწოდების შესახებ. თავისი „ეჭვიანობით“ გაზეთი ცდილობდა ეჭვი შეეტანა ჩვენ ფრონტზე მებრძოლების გულში და გაემხნევებია იქიდან მოძღვარი მტერი. ასე პირდაპირ დააყენა კითხვა „ბორბამ“. გზააბნეული „კომუნისტი“ ვეღარაფერს ახერხებს და სამარცხვინო საქმეში დაჭერილი ბალღივით ბუტბუტებს შემდეგს:

„ნამდვილათ ჩვენს გაზეთს ამ მოწოდების გარჩევის დროს სრულიათ არ ყავდა სახეში რუსეთის წითელარმიელები, რომელთაც მიმართავს მოწოდება, სრულიად არ აფრთხილებს და არც არაფერში არწმუნებს მათ. მას მხედველობაში ყავდა მოწოდების ხელის მომწერი, რომელიც თავისათ ასაღებს მის მიერ სიტყვით და საქმით უარყოფილ პრინციპებს და აშკარა ტყუილს ლაპარაკობს ადგილობრივ სინამდვილეზე. ეს აღვნიშნეთ ჩვენ და ჩვენს მოკამათესაც, თუ მას კამათი სურდა, უნდა დაემტკიცებია, რომ მოწოდების ყველა დებულებები ხალასი ჭეშმარიტებაა. ეს შეუძლებელი საქმე ვერ შესძლო მან და სიტყვის ბანზე აგდებით ცდილობს ფონს გავიდეს“.

„ბორბა“ ეუბნეოდა „კომუნისტს შეადარეთ დემოკრატიული საქართველო და „საბჭოთა“ რუსეთი დააფასეთ აქ და იქ გაკეთებული, დაანახვეთ მკითხველებს, სად უკეთ არის გატარებული სოციალიზმისათვის საჭირო მუშაობა. „კომუნისტს“ რომ მიეღო ეს ჩვენი გამოწვევა, მკითხველი დარწმუნდებოდა რომ მიწის საკითხში, დიქტატურის განხორციელებაში და სხვა სოციალ-პოლიტიკურ რეფორმებში საქართველოს მშრომელი ხალხი დგას სოციალიზმის გზაზე და „სოციალისტური“ რუსეთი მთელი საუკუნით არის ამ გზაზე ასცილებული.

ეს ფაქტი ლაპარაკობს თავის თავათ. აქ საჭიროა პირდაპირი ანგარიშის გაწევა, მიხვრა მოხვრა არ ვარგა. „კომუნისტი“ მაინც აკეთებს ამ უვარგის საქმეს:

„ნამდვილათ კი ერთი სიტყვითაც არ წამოგვცდენია ჩვენ ეს შედარება და ან რა საჭირო იყო; განა შეუდარებლათ არ შეიძლება საქართველოს სინამდვილეზე ლაპარაკი? ჩვენს მოკამათეს კი აქეთ გადააქვს საკითხის სიმძიმე, რომ ერთხელ კიდევ გული მოიფხანოს საბჭოთა რუსეთის გინებით და მით სადაო საკითხი მიაფუჩეჩოს“.

დიახ, სწორედ ამ სადაო საკითხის გამოსარკვევათ და არა მის გადასაფუჩეჩებლათ ჩვენ მოვითხოვთ შედარებას. ჩვენ გვინდა გავაგებინოთ მშრომელ ხალხს რომ საბჭოთა რუსეთში ის მისაბაძავს ვერაფერს ნახავს.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**პატრონის სინიდისი.** სამოქალაქო ომის ორ წლის განმავლობაში ჩვენ ისე ვცხოვრობდით ჩვენს ქალაქებში, როგორც საზოგადოთ ცხოვრობენ ომიანობის დროს ქალაქებსა და სოფლებში. დრო არაა ვიფიქროთ სწორათ მოწყობილ მეურნეობაზე; მთელი გულის ყური მიპყრობილია სამხედრო და მის დამხმარე მეურნეობაზე. დრო არაა ვიფიქროთ მატერიალურ ღირებულებათა შენახვაზე და იმაზე, თუ როგორ მოვიხმაროთ იგი. თუ ფანჯარა ტყვიამ გახვრიტა—დაჩქმანე იგი ჩვარით, ფიცრები ჩააყენე ფანჯარაში. „შტუკატურკა“ დაზიანდა—გადააგდე იგი, სადმე ღობესთან. ჩამოინგრა ნახევარი სახლი—გადადი მეორე ნახევარში; პირველში კი... ჩვენ საქმე არა გვაქვს ნანგრევებთან, უწესრიგობასთან; არა გვცალია მის გასაწმენდათ. ამის გარდა, დაგროვილ აგურებისგან და ხის ნანგრევებისაგან ხომ ადვილი გასაკეთებია ბარიკადები! ომი არსებითად დასრულდა, ან კიდევ გადავიდა საზღვრებზე, განაპირა ქვეყნებში. და მხოლოდ ეხლა, მესამე წელში ვამჩნევთ ჩვენ, რომ ნანგრევებთა შორის ვცხოვრობთ. ჩვენ ვცხოვრობთ დიდ, მოუთავებელ სახლებში, რომელთა ფანჯრებიც იხევე გამოიყურებიან, როგორც თვალების ორმოები გატიტვლებულ თავის ქალაზე. ჩვენ ვცხოვრობთ გადამწვარ შენობათა შორის, რომელთა კედლებიც მოწყენით გამოიყურებიან ნაგავის, ქვიშისა და რკინეულობის გროვაში ჩაფლულნი. ჩვენ ვცხოვრობთ მკვდარ სახლებში, სადაც სინესტე კედლებით სარდაფებიდან სახურავზე გადადის, სადაც დამსკდარია ფეჩები. ქალაქების ირგვლივ გადაჭიმულია აგარაკები, სადაც დახეთქილა ფეჩები, ამოღებულია ჩარჩოები, გაჩეხილია ღობეები. მთელი რუსეთი წარმოადგენს უზარმაზარ სასაფლაოს, სადაც ჩამარხულია მანქანები, ორთქლ-მავლები, მილები, რელსები, მავთულები, იარაღები... მთელი რუსეთი საწყობია ხლამის, რომელიც იძარცვება და ლპება. მთელი რუსეთი, უზარმაზარი ნაგავის გროვაა, რომელიც სახლებიდან ეზოებში გამოეფინა, ეზოებიდან ქუჩებში... მიმოვავლოთ თვალი ჩვენს სახლებს, საწყობებს, ფაბრიკებს, ქარხნებს, ჩვენ უნდა წამოვიძახოთ: რა ქაოსია, რა უწესრიგობა, რა საზიზღრობა! ჩვენში გაიღვიძა პატრონის სინიდისმა, რომელიც უწინ გაჩუმებული იყო რევოლიუციონურ მებრძოლთა სინიდისის წინაშე. მან გაიღვიძა ჯერჯერობით, შესაძლებელია, მხოლოდ მასსების მოწინავე წრეებში. მაგრამ ამას თავიდან ვერ ავიცილებთ... ორი წლის წინათ ლენინმა განაცხადა, რომ დროა დავივიწყოთ ლოზუნგი: „დაიტაცე დანატაცები!“ ეს ლოზუნგი შემდეგი სიტყვებით უნდა შეიცვალოს: „ინგარიშე დანატაცები, დასთვალე“. ჩვენ დავიწყეთ ანგარიში, მაგრამ გლახათ ვანგარიშობდით, ვინაიდან საჭირო იყო ნადავლის დაცვა. უკანასკნელი მოუვლელი რჩებოდა, იგი იფლანგებოდა, იკარგებოდა ბრძოლის დროს. მხოლოდ მაშინ ინგარიშებთ კარგათ, როდესაც მონაპოვარს მოიხმართ. ახლა ჩვენს ლოზუნგათ უნდა გადიქცეს: „მოაწესრიგე და გამოიყენე მონაპოვარი!“ ხელმომჭირნე პატრონათ გადიქეც, მუშავ! ნუ თუ შენ ეჭვი გეპარება იმაში, რომ შენ დღეს ყველაფრის ბატონ-პატრონი ხარ? ამაში ეჭვები ურწმუნო თომასაც კი არ შეეპარება. ყველაფერი შენია: ქუჩები, სახლები, საწყობები, ფაბრიკები, მანქანები, რკინის გზები, ღმერთების სამფლობელოც კი! ყველაფერი შენია! მაშ, გაიღვიძე, პატრონო, გაიღვიძე, აღსდექ! გამოიყენე ყველაფერი ეს,—ამიტომ მოაწესრიგე ყველაფერი! ჩვენ მეტათ ღარიბები ვიყავით მეფის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წყალობით. ჩვენ კიდევ უფრო გავღარიბდით იმპერიალისტურ ომის გავლენით, თითქმის მათხოვრები გავხდით სამოქალაქო ომის განმავლობაში. მაგრამ სისუფთავე და წესრიგი—ფუფუნებაა ღარიბთათვის. მაგრამ ჩვენ შეგვეძლო არ ვყოფილიყავით ასე ღარიბნი, რომ სწორათ გამოგვეყენებია ის, რაც ჩვენ დაგვრჩა. შრომა ქმნის ქვეყნის სიმდიდრეს. მას შეუძლია ყველაფერი აღადგინოს, ააშენოს უკეთესი, თუ ერთსულოვნება დაცული იქნება. უახლოესი გზები აღორძინებისაკენ გახსნილია; მას ვერ დახურავს მომავალში ანგარება და ურთიერთი ბრძოლა მესაკუთრე-კაპიტალისტებისა. დაკვირვებით მიიხედ-მოიხედე ირგვლივ, მუშა-პატრონო, მიიხედ-მოიხედე, როდესაც გადიხარ ქუჩაში და მოედნებზე, როდესაც ქალაქ გარეთ გადიხარ, როდესაც სცილდები შენი სახელოსნოს კარებს. ჰუჰრუტანები, დაჟანგული მანქანები, ხლამი, ნაგავის გროვა თვალებს უნდა გჩხვლეტდენ თქვენ ისევე, როგორც გჩხვლეტს ყველაფერი ეს ჩვენ—კომუნისტებს. ყველაფერი ეს მოწესრიგებული უნდა იქნეს, ყველაფერი ეს შენ თვითონ უნდა გააკეთო. არავინ მოგეხმარება და კომუნისტების ძალები მათი „სუბოტნიკების“ სახით არ არის საკმაო იმისთვის, რათა გამოთრეული იქნეს რუსეთი ნაგვიდან.

საქმე, მუშებო, საქმე გლეხებო! გავწმინდოთ სასაფლაო, ორთქლმავლები, მანქანები, „მოტორები“—ეს ცოცხალი მკვდრები, რომლებსაც შრომა ცოცხალ წყალს მიასხურებს. მივმართოთ ხლამს, დავემსგავსოთ ძველით მოვაჭრეებს, ჩვენ მათგან უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ გამოვიყენოთ თვითეული ნაჭერი რკინისა, თვითეული აგური... მოვაწყოთ სრულიათ რუსეთის „საშუალო რემონტი“, მაინც „თუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვაწყოთ „კაპიტალური რემონტი“. ზაფხული—ეს ის დროა, როდესაც საყოველთაო „რემონტი“ უნდა სწარმოებდეს; გახსოვდეს ეს, პატრონო!

ნაგავისაკენ და ნეხვის გროვისაკენ, „სიბინძურის“ ბოჭკებისაკენ, სოციალიზმის აღმშენებლებო! ამ მოწოდებაში არაფერი არ არის სასაცილო: სოციალიზმი იწყება ბურჟუაზიის სიბინძურეთა გაწმენდით და გადათრევით.

დაიკაპიწეთ ხელები, მშიერნო, მაგრამ მედგარნო დამმარცხებელნო ბურჟუაზიისა! შავი ხელი მალე დასძლევს შავ სამუშაოს და მაშინ გზები ბრწყინვალე მომავლისაკენ, დიად ბედნიერებისაკენ ფართოთ იქნება გახსნილი! **ნ. ოსინსკი** („პერგომ სუბოტნიკ“, 2 მაისი.)

**კომუნისტების აზრი ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ.** ყველა გუშინდელი ფარული თუ აშკარა მტრები ხალხისა, ვისაც კი არ ეზარება, გაიძახიან, რომ საბჭოთა მთავრობამ „გაიმეორა თავისი შეცდომა, მან არ მისცა საშუალება მთიელთა ხალხს თვითგამორკვევისა, არამედ ზევიდან დაუნიშნა ადმინისტრატორები და უარესი წესები გაამეფა, ვიდრე ეს იყო ცარიზმის დროს.

რასაკვირველია, ამას ამბობს ან გაბოროტებული კონტრ-რევოლიუციონერი, რომელიც „ხალხთა თვითგამორკვევაში“ ხედავს თავის ხსნას, ამ ბურჟუაზიის უკანასკნელ იმედში, ანდა ამას იტყვის ბოროტი იდიოტი, რომელსაც ვერ შეუგნია საბჭოთა აღმშენებლობა. ბურჟუაზიულ რევოლიუციის პერიოდში, 1917 წ. ჩვენთვის „ხალხთა თვითგამორკვევის“ პრინციპი იყო ლოზუნგი, რომელიც შეეფერებოდა მომენტს, რათა ამით დაგვენგრია მეფის-მებატონეთა სახელმწიფო, დაგვენგრია მისი ცენტრალიზმი და შეგვესუსტებინა ტემპი.

მაგრამ ეს ლოზუნგი იყო მიუღებელი, როგორც კადეტისათვის, აგრეთვე მენშევიკების და ესერებისათვის, რომლებიც ეჭიდებოდენ ბურჟუაზიულ ცენტრალიზმს („კავკავის კომუნისტი“ № 38).

ეს არის ბალშევიკური ერთა თვითგამორკვევა!..

---

**კვირას, ალექსანდროვის ბაღში ბავშვების დღეა.**

---

## „წითელ“ აძერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

**განჯის ამბები.** კომუნისტების „სოვეტსკი კავკაზში“ (პიატიგორსკის ორგანო) დაწვრილებით არის მოყვანილი განჯის „ოპერატიული ცნობები“. მოგვყავს [illegible]:

„მუსავატურ წყობილების მოხრე მზაკვრული ჯგუფი მალულად ემზადებოდა ლახვარი ჩაეცა ზურგში წითელ არმიელებისათვის, რომლებიც მოწვეული იყვნენ აძერბეიჯანის საბჭოთა მთავრობის მიერ რევოლიუციონური წესრიგის აღსადგენათ. 25 მაისს ღამე განჯაში ბეგებმა, ხანებმა და ზოგიერთ გენერლებმა მოაწყვეს თავდასხმა ჩვენს ნაწილებზე, რომლებიც განჯაში იდგნენ. აჯანყებულთ მიიმხრეს თავიანთ მხარეზე აძერბეიჯანის ჯარის ნაწილები, რომელთა შორისაც კონტრ-რევოლიუციონური აგიტაციას ეწეოდენ ის დენიკინელი აფიცრები, რომლებიც ემალებოდნენ რეგისტრაციას... აჯანყებულებმა მალე დაიჭირეს ქალაქის მთელი თათართა ნაწილი, ჩაიგდეს ხელში ორი არტილერიის ბატარეა ჯარისკაცებით. აჯანყებულნი ქალაქის დაპყრობის შემდეგ შეეცადნენ აეყარათ რკინის გზის ლიანდაგი, მოეწყვიტათ ბაქოდან ალსტაფა და ამ გვარათ ხელი შეეშალათ ცენტრისთვის კავშირი დაეჭირა ადგილობრივ დელეგაციისთვის, რომელიც აწარმოებდა საზავო მოლაპარაკებას საქართველოს დელეგაციასთან სად. ფოილოში. აჯანყებულთა მიერ დაპყრობილ რაიონში დაუნდობლათ დახვრიტეს მრავალი იარაღ-აყრილი წითელ-არმიელები და მათი უფროსები. გარშემო მდებარე მახლობელ სოფლებიდან თავს ესხმოდნენ ჩვენს ნაწილებს შეიარაღებული ბანდები და სასტიკათ უმასპინძლდებოდნენ არტილერიის საშუალებით აჯანყებულთ. დაანგრიეს რკინის გზის ხიდი განჯის დასავლეთით აჯანყებულთა გაშმაგებულმა ბრძოლამ გააბრაზა წითელ-არმიელები, პირველი დემონსტრატიული შეტევა ქალაქზე 29 მაისს დამარცხებით დამთავრდა. გარშემორტყმულმა აჯანყებულებმა საგრძნობი ზიანი მიაყენეს ჩვენს ნაწილებს. აჯანყებულებმა დაინახეს რა ჩვენი შეტევის დამარცხება, ჩასთვალეს იგი ჩვენი სისუსტით და ენერგიულათ იწყეს წინსვლა რაც მათი დამარცხებით დამთავრდა. ამ მომენტიდან აჯანყებულთ აღარ მოიტანეს იერიშები. მაგრამ ჩვენს ნაწილებს ყუმბარებს უშენდენ, რამაც საგრძნობი ზიანი მოგვაყენა. 31 მაისს გათენებისას ჩვენმა ნაწილებმა შეტევა დაიწყეს, მოიგერიეს კონტრ-იერიშები მოწინააღმდეგისა და შეიჭრენ ქალაქში, რომლის ქუჩებზედაც გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა. აჯანყებულები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდენ, არ იხევდენ თავიანთ პოზიციებიდან, მაგრამ ჩვენის არტილერიით ნახევრათ დანგრეული ქალაქის ბედი გადასწყდა რა ჩვენ სასარგებლოთ, აჯანყებულნი ლამობდენ გაქცევით ეშველნათ თავისათვის, მაგრამ სახელოვანი ცხენოსანთა რაზმი წითელ არმიელებისა ამის საშუალებას არ აძლევდა ჯალათ აჯანყებულთ. ყოველ მხრიდან გარშემორტყმული კონტრ-რევოლიუციონური ბანდები დანებდენ ჩვენებს, ყრიდენ იარაღს, ტყვია-წამალს, ცდილობდენ სარდაფებში დამალვას, მაგრამ წითელ არმიელის ხელი ყველგან სწვდებოდა გამცემთ და სისხლის მსმელ ბანდიტებს სპობდა.

31 მაისს საღამოთი აჯანყება უმოწყალოთ ჩაქრობილ იქნა.

ყველა ბეგები, ხანები და აჯანყებულთა წამქეზებელნი დახვრეტილ იქნენ. ყველა მონაწილენი კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებისა წითელ არმიელების მიერ, ამ პროლეტარიატთა დამცველთა დამსჯელ ხელის მიერ, მოსპობილ იქნენ.

---

**არ დაივიწყოთ ობოლი ბავშვები.**

---

## „კომუნისტის“ თავის მართლება

„კომუნისტში“ მოკალათებული ბალშევიკები თავს იმართლებენ.

სწერენ: სოფია პრესმანს რომ ფურცლები აღმოაჩნდა ნეტანებში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული, არავითარი კავშირი მასთან არ აქვს საქართველოს კომუნისტურ პარტიასო.

კომუნისტი სწერს: „ის ფურცლები, რომლებზედაც აქ ლაპარაკია, გამოცემულია **რუსეთის კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტის მიერ**. საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან და მის ცენტრალურ კომიტეტთან ამ ფურცლებს არავითარი დამოკიდებულება არ აქვს. ცნობა, რომ ვითომც ფურცლები დაბეჭდილია „კომუნისტის“ სტამბაში, ყოვლგვარ საფუძველს მოკლებულია“.

ეს ცნობა მოთავსებულია „კომუნისტის“ ახალ ამბავში.

შემდეგ „ამბავთ“ სწერია: „გუშინ, დილის 10 ს., სტამბაში, სადაც ჩვენი გაზეთი „კომუნისტი“ იბეჭდება და სადაც დროებით თვით რედაქციაა მოთავსებული, შემოვიდა კედიას თანაშემწე ბ-ნი ჯანელიძე რამდენიმე აგენტის თანხლებით. მან იკითხა სტამბის გამგე, რომელიც იმ დროს იქ არ აღმოჩნდა, რის გამო მან დაიწყო შეურაცხყოფითი ლაპარაკი. მას მიუთითეს მის შეუფერებელ საქციელზე. შემდეგ ბ-ნი ჯანელიძე შეუდგა სტამბის გაჩხრეკას. ეძებდენ რ. კ. პ. ბათუმის კომიტეტის სახელით გამოცემულ ფურცლებს. გაჩხრეკამ უშედეგოთ ჩაიარა“.

პირადათ ჩვენთვის შესაძლებელია, დამაკმაყოფილებელი დარჩეს ასეთი განმარტება, მაგრამ სახელმწიფო ამით ხომ ვერ იხელმძღვანელებს!..

ფურცლები დაბეჭდილია თფილისში. თითონ დამნაშავე აცხადებს „კომუნისტის“ რედაქციაში მივიღეო. განა საჭირო არ არის ჩვენების შემოწმება—დაკითხვა?..

მაგრამ ბალშევიკები, როგორც სჩანს, გაწიწმატებულნი არიან. ჩვენების ჩამოსართმევად მისულს ეუბნებიან: თქვენ ყალთაბანდობთ, ფურცელი თითონ მთავრობამ შეადგინა, უნდათ თავს მოგვახვიონ ბრალდებები, სტამბაში მოსული ჯანელიძე შეურაცხყოფითი კილოთი გველაპარაკებოდაო და სხ.

ერთი სიტყვით, [illegible] მთელი ბალშევიკური არსენალი, რომ სამშვიდობოზე გავიდნენ...

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ვამბობთ, რომ ჩვენებური ბალშევიკები ყველაფერს იკადრებენ,—ბრძოლის ყოველგვარი საშუალება მათთვის მისაღებია, მაგრამ ერთი უნდა ახსოვდეთ: არც ერთი მათი თაღლითობა არ დარჩება უპასუხოდ და დაუსჯელი.

ამ შემთხვევაში კი, გამოძიება გამოარკვევს რამდენათ მართალნი ბრძანდებიან...

„კომუნისტის“ იმავე ნომერში ვიღაც ს. თ—ია პატარა ფელეტონში „თანამშრომელზე“ სწერს და თავისი უბილო ოხუნჯობით თითქოს შეურაცხყოფას აყენებს „ერთობისა“ და „ბორბის თანამშრომლებს კედიასთან ერთად ხსენებით.

ს. თ—ების და საერთოდ ჩვენებური ბალშევიკების საყურადღებოთ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ რამდენიც არ უნდა სწერონ მათ ამ თემაზე ჩვენდა შესარცხვენად—ჩვენ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ, როგორც **იდეურათ**, ისე **ფიზიკურად**. იცოდნენ, რომ ბალშევიკების მოღალატური მუშაობის წინააღმდეგაა მიმართული, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველი პარტიების მუშაობა, ისე მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი...

ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენი პარტიის წევრთა რეგისტრაცია თქვენს ორგანიზაციებს გარდა სხვა ორგანიზაციებშიც—პოლიტიკურში თუ სახელმწიფოებრივშიაც სწარმოებს.

ამიტომ,—ფრთხილად...

X.

---

**დაეხმარეთ უპატრონო ბავშვებს.**

---

## წერილები ფრონტიდან

1

**წითელი ხიდი.**

საკუთარი თვალით უნდა ნახოთ და დარწმუნდებით საქართველოს ჯარის სულიერ სიძლიერეში.

წითელი ხიდის გარშემო მდებარე მინდორ-გორაკები ბრძოლით გადაუთელავს ჩვენს მცირე რიცხოვან ჯარს. მტერი რომ აქ ძლიერ გამაგრებული ყოფილა და მრავალრიცხოვანიც,—ამას ამტკიცებს მათ მიერ გაკეთებული სიმაგრეები და აგრეთვე მათ მიერ გამოსროლილი ყუმბარებით დახნული ბრძოლის ველი.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა: ჩვენს ჯარს ის გაურეკია და ისე მამაცურად, რომ მტერსაც გაჰკვირვებია...

გ—იის გვარდიის ბათალიონმა ვერ მიუსწრო ამ ბრძოლას...28 მაისს დროებითი ზავის თანახმად ხიდთან მივიდა 7 ქართველი და ამდენივე რუსის ჯარიდან გამოგზავნილი რუსები...

ინტერესს მოკლებული არ იქნება უამბოთ მკითხველთ ამ ბალშევიკ 7 ჯარისკაცის ნალაპარაკევი და აგრეთვე მათი გაჭირვება როგორც ტანისამოსით, ისე სურსათის უქონლობით.

„როცა ბაქოში მოვდიოდით,—სთქვა ერთმა მათგანმა,—ბალაჯარაში გავიგეთ, რომ რუსეთის მთავრობამ იცნო საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. მართალს ვიტყვი, რომ ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ დღეს ჩვენი სიხარული არ გამართლდა და ვიღაცას წყალობით თქვენთან შეტაკება გვიხდებაო.

როცა ჩვენმა ჯარის კაცებმა სადილი მიიღეს, რუსებიც მიიპატიჟეს. მათ გაუკვირდათ სადილის სიუხვე და სთქვეს: ცხრა თვეა ვმსახურობთ და ეს პირველად გავძეხითო. უფრო ის გაუკვირდათ, — ჩვენს ჯარის კაცებს საღამოს რომ ვახშამი მიართვეს—ბრინჯის „კაშა“. ამასთანავე უკვირთ ჩვენი იარაღები—როცა ნახეს ზარბაზნები, თოფები, ჯავშნოსანი ავტომობილები და ამასთანავე ყოველივე სამხედრო წყობილება, გაწრთვნილი ჯარი, ტანისამოსი და ჩვენი ჯარების მხიარული გამომეტყველებანი.

ჩვენი ჯარის კაცები თუმცა დარწმუნებულნი იყვნენ ბალშევიკურ ჯარის კაცების უბედურებაში, მაგრამ ეხლა, როცა ისინი ისე დაკონკილები, ტილებით დამჭლეული და ამასთან კიდევ მშეული ნახეს,—კიდევ უფრო დარწმუნდენ, რომ ბალშევიკური მთავრობა დღეს ვერ დააყრის ბარაქას ხალხს.

ერთმა მათგანმა გვკითხა:

— ვინა ხართ თქვენ,—მშრომელი ხართ თუ ვაჭარ-თავადებიო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ვართ მუშები, სოფლის გლეხები. ბალშევიკ ჯარისკაცმა თავი გაიქნია და სთქვა: „სოციალიზმი თქვენში ყოფილა და ჩვენში კი ჯოჯოხეთიაო“. ჩვენს ჯარს უხარია დროებითი ზავი, მაგრამ თუ საბოლოვო ზავი არ შეიკვრება, ის მზათ არის ეკვეთოს მტერს. ორში ერთი: ამბობს ჯარი,—ან ომი, ან ზავი და გადაწყვეტილებას კი ელის მოუთმენლად...

ირ. გოგოლაძე.

2.

**გვარდიელის დღიურიდან,**

გამოცხადდა გვარდიის საერთო მობილიზაცია თუ არა, ა—შის გვარდიის ცოცხალი ძალაც ფეხზე დადგა. ვინაიდან დემოკრატიის და სამშობლოს დაცვა მოითხოვდა ჩვენს სასწრაფოდ ფრონტისკენ წასვლას, არ დაგვიცდია ტანისამოსისთვის და 7 მაისს, საღამოს 9 საათზე გავეშურეთ ფრონტისაკენ. ჩვენი ეშელონები არსად ჩერდებოდა, თფილისის სადგურზედაც არ გაჩერებულა. 8 მაისს, საღამოს 8 საათზე მოვედით სადგურ ს—ზე. გზაზე მგზავრობის დროს გვარდიელებში სულიერი განწყობილება შესამჩნევი იყო. იმ საღამოსვე დავიძარით ბრძოლის ველისაკენ და ვინაიდან ბრძოლის ველი შორს იყო და იმ ღამესვე ვერ მივაღწევდით, დავბრუნდით სოფ. ს—ში. დილის 7 საათზე 9 მაისს პირი ვქენით ბრძოლის ველისაკენ და იმ დღესვე დავიჭირეთ პოზიცია. 9 მაისს, დილით 7 საათზე გადავედით შეტევაზე. პირველ დღესვე შეტევისთანავე მტერმა იბრუნა პირი. მოწინააღმდეგე გვაყრიდა ზარბაზნების ყუმბარებს, უმეტესად „შრაპნელს“, სულ ჩვენ ბარში სცემდა ყუმბარები, მაგრამ გვარდიის შეტევა და წინსვლა მტრის წინააღმდეგობამ, ძლიერმა ცეცხლმა ვერ შეაჩერა, ვინაიდან ვიცოდით, რას ვაკეთებდით და ვისთან გვქონდა საქმე.

შეტევის დროს რომ შეგეხედათ გვარდიელების გაცეცხლებულ პირისახეზე, თქვენ იტყოდით ვინ მოერევა ამათო.

შეტევა გაგრძელდა მაისის 11-ის საღამომდე. 17 მაისს კი „წითელ“ აძერბეიჯანის მთავრობამ გამოგზავნა პარლამენტიორები დროებით საომარი მოქმედების შესაჩერებლათ. ჩამოვარდა დროებითი ზავი.

ახლა ვდგევართ და ვუცდით მოლაპარაკების შედეგს. თუ საჭირო იქნა იარაღით საკითხის გადაჭრა, ჩვენ მზად ვართ შევსწიროთ თავი რევოლიუციის მონაპოვარს და სამშობლოს დაცვას. სხვისი არ გვინდა, ჩვენსა არვის მივცემთ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ა—შის რაიონის გვარდიის აფიცრების სიგმირე და შეუპოვარი ბრძოლა მუხანათ მტრის წინააღმდეგ ა—შის რაიონის გვარდიელი **სოსო სუჯუნისკარელი**.

———

აძერბეიჯანის ფრონტზე მყოფი თფილისის მეორე ბათალიონის რკ. გზის უბნის სახალხო გვარდიელები, მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას პოეტ და მუშა ნოე ჩხიკვაძის უდროვოდ დაკარგვის გამო. დედა ქალაქს მოშორებული გვარდიელები მწუხარებას ვიზიარებთ და ვსტირით მის ნაცნობ, ნათესავ, ამხანაგებთან ერთად.

მოწინავე პოზიციებზედ მყოფნი, რკინის გზის უბნის სახალხო გვარდიელები,

---

**მეტი ყურადღება ქუჩის ბავშვებს.**

---

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

11 ივნისი.

**ფრანგული ცნობები:**

**სპას კონფერენცია.**

სპას კონფერენცია 5 ივლისამდე არ შესდგება.

**არჩევნები გერმანიაში.**

გერმანიის არჩევნების შედეგი მეუმრავლესე სოციალისტებმა მიიღეს 100 ადგილამდე, დემოკრატებმა 40, კონსერვატორთა ზომიერ ნაციონალისტთა და ცენტრთა პარტიებმა სამოც-სამოცი, დამოუკიდებლებმა 80, კომუნისტებმა 2.

**კაბინეტის გადადგომა.**

გერმანიის კაბინეტი გადადგა. ებერტმა მიულერს დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა.

**მოსავალი საფრანგეთში.**

სოფლის ძველი მეურნეთა სიტყვით, არ ახსოვთ, რომ ოდესმე მოსავალს ისეთი კარგი პირი ქონოდეს, როგორც წელს.

**აღმოსავლეთის საკითხი.**

გარეშე საქმეთა სენატის კომისია იხილავს აღმოსავლეთის საკითხს.

**ბალშევიკების მთავრობის ქონება** (დასაწყისი დამახინჯებულია) საფრანგეთიდან სტოკჰოლმში, რათა რუსულ რენტის მქონე ფრანგების სახელით სთხოვს სეკვესტრი დაადვას იმ თანხებს რომელიც მოთავსებულია ამ ქალაქის ბანკებში ბალშევიკურ მთავრობის მიერ. ამგვარი თხოვნით მიმართავენ ლონდონს სადაც სულ უახლოეს დროში ბალშევიკების მიერ დაქირავებულმა გემმა უნდა მიიტანოს ოქრო და თუთხმეტ (დამახინჯებულია) რუსეთის სესხზე ფრანგული ხელის მომწერლების მიერ.

**უნგრეთის და ოსმალეთის დელეგაციები.**

ხუთშაბათს, საღამოთი უნგრეთის დელეგაციამ, თავის თავმჯდომარის გარდა, ვერსალი დასტოვა. პარასკევს გამოვიდა პარიზიდან ოსმალეთის დელეგაციის ნაწილი.

**კაბინეტის გადადგომა იტალიაში.**

ნიტტიმ განუცხადა რა პალატას ახალი კაბინეტის შედგენა, დაუმატა, რომ ახლად შექმნილ მდგომარეობის გამო მთელი კაბინეტი გადადგაო. გადადგა აგრეთვე იტალიის პალატის თავმჯდომარე ორლანდო.

**ხალხთა ლიგა და სპარსეთი.**

ხალხთა ლიგის აღმასრულებელი საბჭო შეიკრიბება ორშაბათს ლონდონში, რათა განიხილოს პრინც ფირუზის მიერ გადაცემული სპარსეთის თხოვნა მის საქმეებში ჩარევის შესახებ. სხდომაში მონაწილეობას მიიღებს ლოიდ ჯორჯი.

**მილერანის მოხსენება აღმოსავლეთის საკითხზე.**

გარეშე საქმეთა კომისიამ ხუთშაბათს დილით მოისმინა საბჭოს თავმჯდომარე მილერანი, რომელმაც გააკეთა მოხსენება აღმოსავლეთის საკითხებზე, და კერძოთ მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

**ტფილისის საიმფორმაციო ბიუროს ცნობები.**

**საბჭოთა ოდესაში.** თფილისში უკრაინის მისიამ ცნობები მიიღო ოდესის მდგომარეობის შესახებ. უკრაინის ჯარი ქალაქს გარს არტყია. საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგე მოწინავე ჯარი ოდესიდან 8 ვერსზე იმყოფება. ქალაქში საბჭოთა ჯარი ცოტაა. საბჭოთა ზოგიერთი დაწესებულებების ევაკუაცია უკვე მოხდა. ქალაქში გაძლიერებულია ტერორი და ძარცვა-გლეჯა. მიღებული ცნობებით, უკრაინელებს შეეძლოთ ქალაქს აღება, მაგრამ მათ სამოქალაქო აპარატი არ აქვთ კარგად მოწყობილი და ამიტომ არ სურთ აიღონ თავის თავზე მცხოვრებთა პასუხისმგებლობა, რომელიც საშინელ სასურსათო კრიზისს განიცდის. უკრაინის მისიის გადმოცემით ბათომიდან მიღებული ცნობებით ადესა უკვე აღებულია.

---

**ფრონტზე დახოცილ მეომართა ბავშვების მოვლა-პატრონობა ყველას ვალია.**

---

## ახალი ამბები

**რედაქციისაგან.** რედაქცია სწუხს, რომ „ერთობის“ გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა განცხადება ქართველ მსახიობთა კავშირისა. ამნაირ განცხადებას „ერთობის“ ფურცლებზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს და იგი სრულიად შეუფერებელია იმ ორგანოსათვისაც, რომლის დანიშნულებაა ხელოვნების სამსახური.

✦ **დღეს** საღამოს 6 საათზე შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

✦ **საყურადღებო სეირნობა.** კვირას, 13 ივნისს, ალექსანდრეს ბაღში გაიმართება დიდი საყურადღებო სეირნობა. ამ სეირნობის დანიშნულებაა დაეხმაროს ჩვენს ფრონტზე გმირულად დახოცილ მეომართა ბავშვებს. სეირნობას მართავს „დედათა და ბავშვთა მფარველი საზოგადოება“. ამ საზოგადოებამ უკვე მოაწყო რამდენიმე ალაგას ბავშვთა კლუბები, თავშესაფარები, ბაღები და სასადილოები. საზოგადოების მომავალი პროგრამა კიდევ მეტი შინაარსისაა. ადამიანური მოვალეობაა ხელი შევუწყოთ, დავეხმაროთ ასეთ საქმეს, ასეთ საზოგადოებას, ასეთი მიზნით გამართულ სეირნობას. ბაღი იქნება მორთულ-განათებული. დაუკრავს სამი სამხედრო მუსიკა, ზურნა და საზანდარი. სეირნობა დაიწყება დილის 11 საათიდან. იქნება ბუფეტი, ცივი სასმელები, მრავალი გასართობები და ძლიერ მდიდარი ლატარია. დილიდან ბავშვების სეირნობა-თამაში, ცეკვა, ხოლო საღამოს ცეკვა დიდებისათვისაც სუფთა ჰაერზე, ბავშვების სათამაშო ალაგზე. თუ წვიმამ ხელი შეგვიშალა სეირნობა გადაიდება შემდეგი კვირისათვის. კომისია.

✦ **შრომის სამინისტრომ** გამოიმუშავა მთავრობაში შესატანად მოხსენება რომ ყველა სახელ. დაწესებულებებში მოსამსახურეთ და მუშებს მიეცეთ ერთდროული დახმარება: არა უმეტეს 3 ათასი მანეთისა. მთავრობის მიერ მოწონების შემდეგ ეს პროექტი სასწრაფოდ წარედგინება დამფუძნებელ კრებას.

✦ **ფქვილი მცხოვრებთათვის.** სასურსათო განყოფილების ცნობით წისქვილები დღე და ღამეში 4000 ფუთს ფქვავენ. წისქვილების მუშაობას დაუნიშნეს მკაცრი მეთვალყურენი. ამის გამო გაძლიერებული იქნება მუშაობა და დააკმაყოფილებენ როგორც მუშათა მაგიდას, ისე კერძო მომხმარებლებს. ქალაქში მომუშავე წისქვილებიდან ერთი გადაეცა საქართველოს რკინის გზის მუშებს მათი მოთხოვნილების დასაკმა-

ყოფილებლად, მეორე კახეთის რკინის გზის მოსამსახურეებს.

◆ **თფილისის გენერალ-გუბერნატორის** მიერ შემდეგი განცხადება არის გამოქვეყნებული ამა წლის 2 ივნისს გამოცემულ სავალდებულო დადგენილების დამატება. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომ მოქალაქეთა საბუთების მიღების ვადა, რომელნიც ამოწმებენ მათ სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებას, გაგრძელებულია კიდევ ერთი კვირით—ესე იგი, 23 ივნისამდე.

◆ **ბოროტ-მოქმედება პურის ბარათებით.** მომარაგების სამინისტრომ პურის ბარათებით მომხდარი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა. გამოირკვა, რომ ბარათების რიცხვი აღემატება მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვს, რომელთაც უფლება აქვთ პურის მიღებისა. ამის გამო, მუშათა მაგიდასთან გაძლიერდა კანტროლი. მომარაგების სამინისტრო აღნიშნავს, რომ მარტო კანტროლის მოქმედება არ არის საკმარისი ბოროტ-მოქმედების აღმოსაფხვრელადო და იმედს გამოსთქვამს, რომ კანტროლს თვით საზოგადოება დაეხმარება.

◆ **მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ,** ნათესის და ვენახების მდგომარეობის გამოსარკვევად, გაგზავნილი იყო კახეთში სასოფლო მეურნეობის ინსპექტორები ლომაური და ეგოროვი. გამოირკვა, რომ უკანასკნელმა სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა ნათესს ფშაველის თემის რაიონში. აქ გაფუჭებულია შემოდგომის ნათესი და ბაღები. დაზარალდნენ ნაფარეულის, სანიორის, ფშაველის და ნიკოლაევსკის სოფლები. გაზაფხულზე ნათესის გამოკეთება ინსპექტორების აზრით კიდევ შეიძლება. შემოდგომაზე ნათესს კი კვლავ ხნავენ და სთესენ სიმინდით, რომელსაც აწვდის მცხოვრებთ ყვარელის რაიონიდან თელავის ერობა. მცხოვრებთათვის ხორბლის შესყიდვა უკვე დაიწყო, მისი განაწილება მინდობილი აქვს სამინისტროს წარმომადგენელს კახულიას. ცოტათი დაზიანდა კარდანახის და წინანდალის რაიონები.

◆ **ჯანმრთელობის დეპარტამენტი.** დამფუძნებელ კრების ჯანმრთელობის კომისიამ მოიწონა პლენუმში შესატანათ შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების შესახებ.

◆ **სამხედრო კომისიაში.** 12 ივნისს, დღის 1 ს. მოხდება სამხედრო კომისიის და დამფ. კრ. საფინანსო საბიუჯეტო კომისიის შეერთებული სხდომა, რომელზედაც განიხილავენ საკითხს ომში გაწვეულთა ოჯახების დახმარების და თავდაცვის ფონდის შექმნის შესახებ.

◆ **ტარიფის ხელახალი გადახილვა.** პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა 10 ივნისის სხდომაზე დაადგინა წინადადება მისცეს სატარიფო პალატის მუშათა ფრაქციას, რომ მან მოსამსახურეთა და მუშათა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ხელფასის ნორმის გადიდების შესახებ საკითხი აღძრას.

◆ **თფილისის უზრუნველყოფა შეშით.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების ანგარიშით თფილისს მომავალ ზამთარში დასჭირდება 30,000 კუბ. საჟ. შეშა. სასურსათო განყოფილებას ეჭვი არ შედის, რომ ეს რიცხვი შემოდგომისთვის თფილისში მოტანილი იქნება. ამჟამათ შეშას ამზადებენ ქუთაისის სატყეოში და კახეთში.

◆ **ელლინთა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა** მადლობით მიმართა საქართველოს მთავრობას და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმოუჩინა მან ბერძნებს ფულით, სურსათით და მედიკურ მასალებით.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის** დ. ს. მგელაძის მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენებით, დაადგინეს: მთელი ქვეყნის საფოსტო კავშირის ბერნის კონფერენციის მიმართვის თანახმად, შევიდნენ ამ კავშირში, როგორც სრულ უფლებიანი წევრი. კავშირის ბიუროს შესანახათ საქართველომ უნდა შეიტანოს 2000 ფრანკი და უნდა გაგზავნოს საქართველოს მარკის ყოველი ნიმუშის 383 ცალი, რათა იგი მთელი ქვეყნის საფოსტო კავშირს ყველა სახელმწიფოს გადაეგზავნოს.

◆ **საჩუქრები ფრონტს.** მუშათა კავშირმა „სურსათმა“ ფრონტზე ორი პარტია საჩუქრები გაგზავნა: სადახლოს ფრონტზე გაგზავნა 350 ბოთლი კონიაკი, 36 ვედრო ღვინო, 30 გირ. მონპასიე, საპონი და ძაფი. ახალციხის ფრონტზე გაიგზავნა ღვინო, კონიაკი და სხვ. ამას გარდა თფილისში სახალხო გვარდიელთა ლაზარეთს გადაეცა 5 ფუთზე მეტი სუხარი, გიგროსკოპიული ბამბა, 700 ბოთლი ლიმონათი. კავშირი განაგრძობს ფრონტზე გასაგზავნ საჩუქრების შეკრებას.

◆ **ქურდობა.** ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“ რედაქტორმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ რედაქციის საწყობებიდან მოიპარეს 45 ფუთი ქაღალდი 97 ათას მან. ღირებულებისა. სისხლის სამართლის მილიციის თანაშემწემ ლორთქიფანიძემ უფროსს აგენტ გძელიშვილის დახმარებით აღმოაჩინა მოპარული ქაღალდი. გამოირკვა, რომ ქაღალდი მოუპარავს სტამბის მოსამსახურე კალისტრატე პავლეს ძე თოდრიას, მიკრტიჩ არტემის ძე ტურიანცევის დახმარებით. ქურდობაში მონაწილეობა მიუღია აგრეთვე გრიგორი დავითისძე მამულოვს. ქაღალდი მიუყიდნიათ ვაგრაშაკ აბრამის ძე მალხასიანცისათვის. ყველა ზემო აღნიშნულნი ბოროტმოქმედნი შეპყრობილი არიან და მათი საქმე გადაეცა სასამართლოს.

◆ **ოლღას საბებიო ინსტიტუტი** დაამთავრა არა 23 მსენელმა, როგორც ამას წინათ გვქონდა აღნიშნული, არამედ—24. კურს დამთავრებულთა სიაში გამოტოვებულია მსმენელი მარიამ კვალიაშვილი.

◆ **სახელმწიფო თეატრი** კვირას, 13 ივნისს ნანობაშვილის მე-3 გასტროლი „ჰუგენოტები,“ ორშაბათს,—პერინის საბალეტო სკოლის წარმოდგენა.

◆ **ვიპოვნე** მოქ. ნინა ისაევის მოწმობა № 5048, ბათუმში წასასვლელი. პატრონს შეუძლია მოიკითხოს რედაქციაში.

◆ ქართული სცენის რეჟისორი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ „სინათლის“ აფიშებში და გაზეთის განცხადებებში მისი გვარი შეცდომით არის გამოცხადებული.

◆ მ. მ. ხუხუნაიშვილი დაინიშნა მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგრარო განყოფილების კონტროლიორ ინსტრუქტორათ, რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება დუშეთის მაზრაში რევიზიისთვის.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

13 ივნისს, დილის 9. საათზე, პროფესიონალურ კავშირის დარბაზში დანიშნულია აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონ. კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

— 12 ივნისს 1920 წ. შაბათს, საღამოს 6 საათზე ქალაქის მმართველობის სხდომის დარბაზში შესდგება წლიური კრება ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოების წევრთა.

## ბრძანება
### რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

ბორჩალოს მაზრაში ფრონტის საჭიროებისათვის ტელეგრაფის ახალი ხაზის გაყვანის დროს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელეებმა მექანიკოს სურგულაძის მეთაურობით არაჩვეულებრივი შრომის უნარის და დაუშრეტელი ენერგიის გამოჩენით ხელი შეუწყვეს სამუშევარის ჩინებულათ დასრულებას. სამუშევარი ხაზის გაყვანისათვის დასრულებული იქნა 3 დღის ვადაში, რაიც ტეხნიკური მხრივ თითქმის შეუძლებელ ფაქტათ უნდა იყვეს მიჩნეული. დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავ სამშობლოს სასარგებლოთ წარმოებულ ასეთ ენერგიულ მუშაობას და ულრმეს მადლობას ვუცხადებ მთავარ მექანიკოსს სურგულაძეს და ყველა იმ პირთ, რომლებმაც პირდაპირი მონაწილეობა მიიღეს ამ სამუშევარში, სამშობლოსა და ლაშქრის სასარგებლოთ მათ მიერ გაწეულ შრომისათვის.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

## ნეკროლოგი.
### სპირიდონ მაჭავარიანი.

სპირიდონი იყო 19 წლის, მაღალი, ახოვანი, მძლავრი ყმაწვილი, მეტად თავაზიანი და სულგრძელი; ამხანაგებისთვის თავს დასდებდა, ყველაფერს მიიკლებდა, არ ისადილებდა, მაგრამ მახლობელს დაეხმარებოდა.

სპირიდონის დედა ალავერდელი ბერძენის ქალი იყო, ისიც ბერძნებში აღმოიზარდა, შემდეგ რუსეთში სწავლობდა.

სად და ვისგან შეითვისა მან ასეთი სიყვარული სამშობლოსი!

2 მაისს ის გაემგზავრა საზღვარისაკენ, სამი დღის შემდეგ კი მწუხარებით ამოვიკითხეთ გაზეთებში—სპირიდონი გმირულათ დაეცა ბრძოლის ველზე.

მშვიდობით, ძვირფასო!

დღეს, როდესაც ყოველი მხრიდან ღალატს მოველით, ვაჟკაცის მკერდს ვერაფერი დაამშვენებს ისე, როგორც სისხლი, დაღვრილი სამშობლოსათვის.

ჩვენი სამშობლო დღეს ღირს მსხვერპლად და თავგანწირვათ.

შენ ნახე სახელოვანი სიკვდილი!

მშვიდობით დაბრუნებული ამხანაგები შენ ძვირფას საფლავზე მოიტანებენ ამბავს სახელოვანი გამარჯვებისა.

იძინე ტკბილათ!

**ალფა.**

## დუშეთის მაზრაში
### წ ი ლ კ ა ნ ი.

წილკანი ძველად ქალაქი იყო. ისტორიულ ძეგლებიდან გადარჩენილა მარტო იესე წილკნელის ძვირფასი ჩუქურთმოვანი ტაძარი. ამ საყდრის ეზოშივეა დასაფლავებული შ. არაგვისპირელის მოთხრობის გმირი „მთის ქალი“.

წილკანი დღეს სოფელია, მაგრამ ძალიან დიდი, მჭიდროდ დასახლებული და მრავალ კომლოვანი. აქ რომ რკინის გზა გადიოდეს, უეჭველად ისევ ქალაქად გადაიქცეოდა. წილკანში ხალხი უსწავლელია, მაგრამ ერთსულოვანი. „ყველა ერთისთვის, ერთი ყველასათვის“, ეს დევიზი აქ ხორცშესხმულია. ერთ კაცს ვერა ნახავთ, რომ სხვაგვარად აზროვნობდეს, ვიდრე სოფელი, ავ საქმეშიაც ერთად არიან, კარგშიაც. დუშეთის ამბოხების დროს მთელი წილკანი ბალშევიკურად იყო განწყობილი და დიდს საფრთხეს წარმოადგენდა. ძნელი იყო მაშინ მათთან შესვლა და ბალშევიზმის წინააღმდეგი აზრების ქადაგება.

დროთა განმავლობაში პარტიულ—სახელმწიფოებრივ მუშაობამ იგინი თანდათან შესცვალა და დღეს ერთგული დამცველები არიან ჩვენი რესპუბლიკისა. ყოველგვარს არჩევნებში მუდამ პირველ ნომერს ძლევენ ხმას. ბევრს ეცადნენ სხვა პარტიის წარმომადგენელნი გავლენის მოპოვებას, მაგრამ ხუთი მომხრეც ვერ იშოვეს. აბსენტიზმს აქ ადგილი არა აქვს. ქუდზე კაცი გამოდის, როცა კრებაზე მოვიწვევთ ხოლმე.

სამწუხაროდ წილკნელები განათლების ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გაუნათლებლობის მხრივაც ერთ დონეზე დგანან და წერა-კითხვის მცოდნენიც კი ძალიან ცოტა გამოერევათ. აქ რომ მარჯვე მასწავლებელი ჩაუდგეს სკოლას, მაშინ სოფელი სულ მცირე ხანში განვითარდება და მაზრის თვალად გადაიქცევა. არც ერთის სოფელს ისე არ უწყობს გარემოება სამოსით ხელს, როგორც წილკანს. ყოველ საღამოს შეიძლება სახალხო კითხვა-საუბრის მოწყობა. წილკნელებს შეგნებული აქვთ განათლების მნიშვნელობა. თუ სხვა სოფლებში ძალის დატანება გვიხდება, რომ ბავშვები ატარონ სკოლაში, აქ პირიქით იხვეწებიან. „მასწავლებლები მოგვაშველეთ სკოლის გასაფართოვებლათაო“. ისინი არაფერს დაიშურებენ, ოღონდ მართლა გამოუჩნდეს მოსიყვარულე ხელმძღვანელი და ჩაუდგეს სოფელში კულტურულ მუშაობის გაჩაღებას.

სად არიან ისიდორე რამიშვილისთანა მასწავლებლები, რომელნიც მისიონერებივით ტრიალებდნენ ხალხში და ანათლებდნენ.

მე ვინახულე ბევრი ჩვენი სასწავლებელი და იშვიათად შევხვდი მასწავლებელს, რომელიც ღირსეულად ასრულებდეს თავის მოვალეობას. უმეტესობა საათს დაჰყურებს, რომ მალე მიაფიშოს გაკვეთილი და ხვნა-თესვას, ან სხვა სამუშაოს დაუბრუნდეს.

წილკნის მასწავლებელმა გამაცნო იმ მუშაობის გეგმას, რომლის განხორციელებასაც ჰფიქრობს ამ ზაფხულს და თუ მართლა გაახორციელა დიდს სიკეთეს მოუტანს სოფელს.

წილკნელების თავის სატეხი გამხდარა უწყლოობა. ისეთს ადგილასაა ეს სოფელი გაშენებული, რომ ზაფხულში სასმელი წყალიც არ მოეპოვებათ. არაბეთის უდაბნოში ეგონება კაცს თავი, ისე ზუზით ინახავენ და უფრთხილდებიან თითო ყლუპა წყალს. იძულებული ხდებიან „ბოჩკებით“ შორს არაგვზე ზიდონ და იქიდან ჰზიდონ წყალი.

მათ გადაუწყვეტნიათ ისარგებლონ მუხრან-ძალისის არხით, რომლითაც გამოყვანილია ქსნიდან წყალი, გააფართოვონ იგი და მითი მორწყონ მამულები. სამწუხაროდ ჩვენი სოფლები მეტისმეტად კარჩაკეტილი არიან. სხვათა ჭირი ღობის ჩხირად მიაჩნიათ და თუნდა მთლად ამოსწყდეს წყურვილით და გადაიფშრუკოს უწყლოობით ჭირნახული—არ ინაღვლებენ. არხის გაფართოების წინააღმდეგობას აცხადებენ მუხრან-ძალისელები. ეს არხი ჩვენი გამოყვანილია და რათ უნდა ისარგებლონ წილკნელებმა მზა-მზარეულათ, ან სადაა იმდენი წყალი, რომ მათაც უწილადოთ, თუ ჰნებავთ თვით გაიყვანონ ახალი არხიო. მუხრანის თემმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს, გამოიკვლიოს დაწვრილებით და ეცადოს შეათანხმოს სოფლები იმაში, რომ წილკნელებს ახალი არხის გაყვანა არ დასჭირდეთ. რაც უნდა მოწადინებული იყოს წილკანი არხის გამოყვანაში—ისე დიდი მანძილია გასაჭრელი, რომ მარტო წილკნის ხარჯით ვერ შესძლებენ. სჯობია წილკნელების ძალებით გადიდდეს მუხრან-ძალისის არხი იმდენად, რომ ყველას გასწვდეს წყალი. თემი დიდის სიფრთხილით და წინდახედულად უნდა მოეკიდოს ამ საქმეს, რომ შეხლა-შემოხლა არ მოხდეს და უბედურება არ დატრიალდეს ამ მოდავე სოფელთა შორის.

**ძ ა ლ ი ს ი.**

ძალისი ოსების სოფელია. ძალიან მოშხამულები არიან. ბევრს ვეფერებით, ბევრს ვთმობთ, მაგრამ ყოველთვის ღვთის წყალობას ღვთის რისხვათ ღებულობენ და გვიფერხებენ ისედაც ძნელს მუშაობას. ძნელდება მუშაობა უფრო იმ ოსებში, როგორიცაა რეხულის და კობ-თრუსოს რაიონები. ესენი მთლიან ერთეულს წარმოადგენენ, ახლოს არიან ჯავის ხეობასთან და იქიდან გადმოსულ პროვოკატორთა გავლენით ავრცელებენ ათას ცრუ ხმებსა.

საბედნიეროთ ასეთი უნდობლობა არაა იმ ოსების სოფლებში, რომლებიც გაფანტულია ქართულ სოფლებში. ასეთებს ეკუთვნის ძალისიც. მართალია, ხანდახან ძალისიც აჰყვება ხოლმე ფეხის ხმას, მაგრამ ჩვენი იქაური ოს ამხანაგების მეოხებით მალე წყნარდებიან და ქართველებთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას იწევიან. ძალისიდან სამაზრო ერობის ხმოსნად გაყვანილი გვყავს ამხ. გიორგი გათენაშვილი, რომელიც ძველი პარტიული მუშაკია და გავლენაცა აქვს ხალხში. ძალისიდან გვარდიაშიაც არიან ჩაწერილნი და დღეს იგინი გმირულადა დგანან ფრონტზე მტრის პირის-პირ.

ძალისელებს სამწუხაროდ სკოლის მნიშვნელობა შეგნებული არა ჰქონიათ. ამ აკადემიურ წლის დამდეგს ერობამ მათ გაუგზავნა მასწავლებელი. უტრიალნია მას რამდენიმე დღე სოფელში. უთხოვნია სოფლისთვის კლასისთვის ოთახი და ხელის შეწყობა მეცადინეობის დასაწყებად, მაგრამ იგინი ცივად დაჰხვედრიან.

„ნასწავლი ხალხი თვით სიმშილით იხოცება—რა ახალ ნასწავლთა მომატება და გამრავლება ეჭირვებათო“. მასწავლებელი იძულებული გამხდარა უკან დაბრუნებულიყო და დღესაც უსკოლოთაა ეს სოფელი.

კრებაზე ჩემი მოხსენების შემდეგ საზოგადოებამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც იგი ესალმება საქართ. დამფ. კრებას და მთავრობას და აღუთქვამს ყოველგვარს დახმარებას.

**მ უ ხ რ ა ნ ი.**

მუხრანი სოფელია, მაგრამ ისეთი მდგომარეობა აქვს, რომ შეიძლება მალე ქალაქად გადაიქცეს. ვაჭრობა გაჩაღებულია. სხვადასხვა საზოგადოებათა გზები აქ მუდამ მოძრავია და გამხმაურებელი. ადრევ თუ ბალშევიკურ არეულობაში ჰლებულობდა მონაწილეობას —ახლა პირველობას იწევა რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში. მუხრანში არსებობს მდიდარი ყოფილი საუფლისწულო მამული. მამულის მოურავმა თედო მეგრელიშვილმა სიამოვნებით მაჩვენა, თუ პირველად რა უნდობლად ეკიდებოდენ სოფლელები ამ მამულს და როგორ აოხრებდენ ბაღ-ვენახებს,—დღეს კი შეიგნეს, რომ ეს მამული მთელი ხალხისაა და ერთგვარს მზრუნველობასაც კი იჩენენ მამულისადმიო.

მართლაც, მე ვნახე ეს მამული ამ ორი წლის წინეთ გადალახულ გადამტვრეული და დღეს ვეღარ იცნობთ ისეა მოვლილი და გამშვენიერებული.

მუხრანის თემმა უფრო მეტი სიცოცხლის მაჯის ცემა და მხნეობა გამოიჩინა, ვიდრე სხვა თემმა.

რა თქმა უნდა ჯერ კიდევ ბევრია მოსაგვარებელი, მაგალითად, თემს ჯერ არ უზრუნია გზების შესაკეთებლად. ბევრგან ხევ-ხუვებში ისეა გზა მომშვლეული, რომ ლამის შეუძლებელი გახდეს მიმოსვლა ქსანსა და მუხრანს შორის. თემის თავმჯდომარეობის მოვალეობას ასრულებს არონ დონდოლაძე, რომელიც ერთ და იმავე დროს სკოლის გამგეც არის. ასე დატვირთვა ადამიანისა—სახეირო არაა საქმისათვის. სამაზრო ერობამ მალე უნდა მიაშველოს თანამშრომელი, რომ შესაძლებელი გახდეს იმ აუარებელი სამუშაოთა გაძლოლა, რომელიც დაჰგროვებია მუხრანის თემსა.

მუდამ მოძრავი და მოყიჟინე მუხრანი — ამ ჟამად დაყურსებულია. სოფელს ახმაურებდნენ და აღაღებდნენ გვარდიელები და დღეს იგინი ფრონტზე იმყოფებიან. ერთი კაციც არ დაურჩენიათ სახლში და შტაბის კარები გამოკეტილია.

26 მაისს გაიმართა აქ დიდი მიტინგი. მიუხედავათ იმისა, რომ მუხრანის სულის ჩამდგმელი გვარდიელები კრებას აღარ ხელმძღვანელობდნენ და არ ამშვენებდნენ,—მაინც დიდის ამბით იქმნა გადახდილი დღესასწაული. მიტინგს მოჰყვა დაფა-ზურნა, ცეკვა-თამაში და ჭიდაობა.

**ბ ა ზ ა ლ ე თ ი.**

ილია ჭავჭავაძეს ტყუილად კი არა სწამდა, რომ ბაზალეთის ტბის ძირში ოქროს აკვანი არის ჩადგმული, შიგ ასვენია ბავშვი, რომელიც, თუ გამოიდვა ვინმემ თავი და ამოიყვანა, იგი—ქვეყნის მხსნელად გარდაიქმნებაო.

ეს ლეგენდა დიდი ხნისაა, დიდი ხანია მოელოდნენ ამ აკვნის ამოღებას, მაგრამ მშველელი არსადა სჩანდა, ხოლო ცრემლები სულ ემატებოდა და ემატებოდა ამ ტბას. მთელი ეს ტბა ხალხის ცრემლებისგანაა შემდგარიო სწამთ ყველას და რაოდენი გაჭირვება უნდა დასტყდომოდა ხალხს, რამდენი უნდა ეტირნა და ევალალნა, მონობაში მყოფს, რომ ზღვათ-ოდენი ტბა აეზვირთებინა.

ცრემლი მტანჯავია, მაგრამ წმინდა გამამხნევებელი ემბაზიცაა. ამ ცრემლმა ჰქვება და აზიარა ბაზალეთის ტბის კიდეს მცხოვრები ხალხი და თუ ჟამთა განმავლობაში იგი დამონებული იყო და როგორც მონას ისე ათამაშებდნენ ქვეყნის მუხანათები, როგორც მოეპრიანებოდათ, დღეს გამოფხიზლდა, გადაიძრო თვალთაგან მონობის საბურველი, გაეხვივით სწრაფად ჩაიჭრა იმ ტბის ფსკერში და ამოიტანა ის ნანატრი აკვანი.

ბაზალელებს დღეს ამ ტბაში ჩასვენებული ჰყავთ ის ყრმა, რომელსაც ჰქვიან სიყვარული თავისუფლებისა და სამშობლოსადმი.

ამ ყრმის ძეობა გადახდილ იქნა მა-

## სადღეისო შენიშვნები
### 3. კომუნისტ მუშებზე.

ბალშევიკები გვიწვევენ საკამათოთ, იდეურ შეჯახებაში გამოვარკვიოთ სიმართლეო. სასიამოვნო მოვლენაა, თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ კამათიდან მაინც და მაინც ნაყოფიერ შედეგებს არ მოველით, როდესაც ჩვენებურ ბალშევიკებთან გვაქვს, საქმე (კუზიანს სამარე გაასწორებს), მაგრამ მათ წრეებში არიან ისეთი ელემენტები, განსაკუთრებით თითო-ოროლა მუშა, რომლებიც კომუნისტებია უფრო გაუგებრობით, ვინემ თავის მდგომარეობით. აი, ასეთ მუშებთან ჩვენ კამათი და ბაასი საჭიროთ მიგვაჩნია და სასარგებლოთაც და ამ მხრივ გვაინტერესებს, სხვათა შორის, „კომუნისტის“ პირველ ნომერში მოთავსებული წერილი მუშისა სათაურით—„რატომ ვარ მე კომუნისტი“.

ამ მუშას დაუნახავს **წინააღმდეგობა** მის ყოფილ მასწავლებელ სოც. დემოკრატების უწინდელ ნათქვამსა და ახლანდელ მათ პრაქტიკას შორის. ავტორის სოციალისტური შეგნება აღზრდილა და გაკაჟებულა მარქსის „კომუნისტურ მანიფესტზე“, ოცდაორი წლის განმავლობაში სოც.-დემოკრატების „კომუნისტურ მანიფესტის“ საფუძვლებზე ქადაგებით მას „ძვალსა და რბილში გაჯდომია სიძულვილი თანამედროვე წესწყობილებისა და უსაზღვრო სიყვარული მომავალი სოციალისტური წესწყობილების მიმართ“.

ამისდა მიხედვით,—სწერს ავტორი—მუშა, რევოლიუციის შემდეგ „უნდა წაგვეკრა უკანასკნელი მუჯლუგუნი, დაგვენარცხებია ის (ძველი წესწყობილება) ძირს და შევდგომოდით ახალ ცხოვრების შენებასო“.

მაგრამ ეს ასე არ მოხდაო—ჩივის ავტორი. „თუ წინეთ გვეუბნებოდენ, რომ არსებული წესწყობილება დუხჭირია და ის უნდა მოისპოს, მის მაგიერ სულ ახალი, სოციალისტური წესწყობილება დავამყაროთო, დღეს ყოველ ფეხის გადადგმაზე დაჟინებით ჩაგვჩიჩინებენ—არა, ძველის დანგრევა არ შეიძლება, ის მხოლოდ უნდა შეკეთდეს, შესწორდეს“ და სხვ.

„წინეთ თუ გვასწავლიდენ—განაგრძობს წინააღმდეგობის ჩვენებას ავტორი—რომ მთელი ქვეყანა ორ კლასათ არის გაყოფილი და მათ შორის დაუძინებელი ბრძოლა არსებობსო, დღეს ეს მცნება დავიწყებია და ამ ორ მოსისხლე მტრის შერიგება სურთ „შემარიგებელი კამერებით“, „სატარიფო პალატებით“ და სენატებით (?)“. წინეთ თუ ეკლესიას და ყოველივე არსებულ სარწმუნოებებს სახავდენ, როგორც შექმნილს მხოლოდ ხალხის დასაბრმავებლათ—დღეს დანგრეულ ეკლესიების შესაკეთებლათ თანხას სდებენ სახელმწიფო ხაზინიდან“.

„წინეთ გვასწავლიდენ, რომ სხვადასხვა ქვეყნები იმიტომ არის დაშორებული ერთი მეორესგან და შეზღუდული თავიანთ ფარგლებში ეროვნული, სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი განკერძოებით, რომ გაბატონებულმა კლასმა უფრო მოხერხებულათ ყლიფოს თვისი ხალხი“ და აქედან დასკვნა „ამისთვის სჯობდა **ერთი, მთლიანი ქვეყანა, განთავისუფლებული ყოველივე კერძოობიდან,** დღეს კი ამ განკერძოების შესანახავად და გასამაგრებლათ ყოველივე ზომებს იღებენ“ და სხვ.

როდის იყვენ მართალნი ჩვენი მასწავლებლები—წინათ თუ ახლა? კითხულობს ავტორი მუშა და უპასუხებს: „მე კი ვფიქრობ, რომ მართალი იყვენ ისინი მაშინ, როდესაც მიგზავნიდენ მე და ჩემისთანეებს ხელთნაწერ „კომუნისტურ მანიფესტს“, ამიტომ ვამჯობინებ მის („მანიფესტის“) ცნებას და ვარ მისი მიმდევარი, ე. ი. კომუნისტი—დაასკვნის ავტორი.

კომუნისტ მუშის მთელი ეს მსჯელობა, ყველა ეს დაპირდაპირება სოც.-დემოკრატიის წარსულისა და აწმყოსი, მათ შორის წინააღმდეგობის ჩვენება, რასაკვირველია, დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობაზე. ეს ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი „ცვლილების“ და „გაბურჟუაზიულების“ ჩვენება არა ახალია. ამას იმეორებენ ყველა ჩვენი მტერ-მოყვარენი—დაწყებული მემარჯვენეებიდან გათავებული უკიდურეს მემარცხენეებით. დაწვრილებით ამ ბრალდებას ჩვენ შევეხეთ უკვე.

საქმე იმაშია, რომ ვინც სოც.-დემოკრატიის წარსულ-აწმყოს მსჯავრისმდებლის როლს კისრულობს, ის უნდა კარგათ იცნობდეს ამ პარტიის წარსულს, რას ამბობდა და აკეთებდა ის, რას მოელოდა მომავალ რევოლიუციიდან, როგორი იყო საერთოთ სოც.-დემოკრატიის მეცნიერული მსოფლმხედველობა. აქ საჭიროა დიდი მიუდგომლობა, ობიექტივობა, საგნის კარგათ ცოდნა, თუ გინდ მეხსიერებაც ისტორიული მნიშვნელობით, საჭიროა პარტიის ხელმძღვანელების ნაწერების არა მარტო წაკითხვა, არამედ **გაგებაც.** მაშინ შესაძლებელია პარტიის წარსულის შეფასება, ამ წარსულსა და ახლანდელ მოქმედების შორის დამოკიდებულობის ჩვენება.

სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ კომუნისტი მუშა ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა ჩვენის პარტიის კრიტიკოსისათვის.

საკვირველია, ავტორი თითქმის ოცდაორი წელია სოც.-დემოკრატ მასწავლებელთა ნათქვამს და ნაწერს იზიარებდა და, მიუხედავათ ამისა, მისი ახლანდელი კრიტიკა, მისი ცდა წინააღმდეგობა პოვოს სოც.-დემოკრატიის წარსულსა და აწმყოს შორის, სავსეა გაუგებრობით. სჩანს კომუნისტ მუშას ამ ხნის განმავლობაში ვერ შეუთვისებია სავსებით, ვერ ჩამწვდარა ღრმათ სოც.-დემოკრატიზმის მოძღვრებაში. ეტყობა, ის თავიდანვე არ ყოფილა სოც.-დემოკრატი მარქსისტი. ავტორს სოც.-დემოკრატი მასწავლებლები ერთს ეუბნებოდენ, მას კი სულ სხვა გვარათ შეუთვისებია ეს ნათქვამი. მისი იდეურ მასწავლებლების მომავალი რევოლიუციის მოლოდინი ერთი იყო, კომუნისტ მუშას კი თურმე გადაჭარბებულათ ეხატებოდა ეს მოლოდინი. აქ სოც.-დემოკრატია არაფერს შუაშია.

სოც.-დემოკრატია, მართალია, მუშებს მუდამ ეუბნებოდა, რომ „არსებული წესწყობილება დუხჭირია და ის უნდა მოისპოს, მის მაგიერ სულ ახალი, სოციალისტური წესწყობილება დავამყაროთო“, მაგრამ, თუ კარგად მოიგონებს ჩვენი ავტორი-მუშა, სოც. დემოკრატია არას დროს არ ამბობდა, რომ რუსეთის უახლოესი რევოლიუცია ერთის დაკვრით „მოგვიტანს“ სოციალისტურ წესწყობილებასო. ის უსახავდა მუშებს დასახელებულ შორეულ მიზანს, უჩვენებდა აგრეთვე იმ რთულ და მძიმე **გზას,** იმ მიზნის განხორციელებისაკენ. ეს გზა იყო სოციალიზმი დემოკრატიის საშუალებით. ამ საკითხზე რევოლიუციის წინ მდიდარი ლიტერატურა არსებობდა, რომელიც ემყარებოდა პროლეტარიატის დიად მეცნიერ-ფილოსოფოსს მარქსის გამოკვლევებს. სამწუხაროთ, ამ მუშაობას, ამ ლიტერატურას კომუნისტ მუშისათვის სრულიათ უნაყოფოთ ჩაუვლია.

მარტო იმის თქმა არ კმარა, რომ „ძველი წესწყობილება“ უნდა დაგვენგრიაო. ეს ფართო ცნებაა. ძველი იყო თვითმპყრობელობა, როგორც პოლიტიკური ფორმა, ძველი იყო ფეოდალური ნაშთები, იგივე ცნება შეიცავს თანამედროვე კაპიტალისტურ ურთიერთობას. ყველა ამ მოვლენათა ერთი-მეორეში არევა არ შეიძლება, ყველა მათ აქვთ განსაკუთრებული მოსასპობი პირობები და საშუალებანი. მარქსმა თავის შესანიშნავ სოციალურ გამოკვლევებით გვიჩვენა საზოგადოებრივი ეკონომიური ხანების რიგრიგობა, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრულ კანონმდებლობას.

სოც.-დემოკრატია რევოლიუციამდის არ ამბობდა, რომ „ძველი წესწყობილება“ ფართო მნიშვნელობით „უკანასკნელი მუჯლუგუნით“ დაგვენარცხებია და ერთის დაკვრით, რუსეთის ახლობელ რევოლიუციის საშუალებით, მოგვეხდინა პოლიტიკური, სოციალური და სოციალისტური გადატრიალება. პირიქით, ამის მომხრე იყვენ ანარქისტები და სხვა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები. კომუნისტ მუშას, როგორც ძველ მებრძოლს, ახსოვს ალბათ, თუ როგორ ვებრძოდით ჩვენ, სოც.-დემოკრატები, მათ ამ ნიადაგზე 1905-დან. მაშინ ანარქისტები და ესერ-ფედერალისტები (მიწის სოციალიზაცია) გაიძახოდნენ, რას მიქვია ისტორიული პირობები, ეკონომიური კანონები, ახლავე შეგვიძლია განვახორციელოთ სოციალიზმი, სულ თუ არა, სანახევროთ მაინც, თუ ამას ჩვენ, ინტელიგენტები მოვინდომებთო. თუ მოიგონებს კომუნისტი მუშა, ამ საკითხში მაშინ ბალშევიკები ჩვენთან ერთად იბრძოდნენ ამ პარტიათა წინააღმდეგ.

დღეს კი ბალშევიკები და აგრეთვე ჩვენი ავტორი ანარქისტ-ესერ-ფედერალისტების საბუთებით გამოდიან.

შემდეგ, მართალია ის, რომ სოციალდემოკრატიამ ჩვენში მუშებს პირველმა განუვითარა კლასთა ბრძოლის თეორია, მას, როგორც მაშინ, ისე დღესაც, სწამს, რომ „ქვეყანა გაყოფილია ორ კლასათ: მჩაგვრელთა და ჩაგრულთა“, რომ კლასთა ბრძოლა არის ისტორიის მამოძრავებელი ფაქტორი, მაგრამ კომუნისტმა მუშამ, თუ ოდესმე ის იყო ს.-დემოკრატი, უნდა იცოდეს, როგორ ესმოდა პარტიას ეს ბრძოლა. მარქსისტულ ს.-დემოკრატიას არას დროს არ უთქვამს, რომ კლასთაბრძოლა არის რაღაცგანყენებული, მეტაფიზიკური და მექანიკური მოვლენა, ფორმები მის მსვლელობის ერთობ ცვალებადია, ხან ჩუმია და მშვიდობიანია, ხან კი მძაფრი და სასტიკი. ის არის მუდმივ ხელჩართული ბრძოლა, როგორც ეს დღეს კომუნისტებს წარმოუდგენიათ.

ზოგიერთ პირობებში კლასთა ბრძოლამ შეიძლება ისეთი ფორმები მიიღოს, რომ დაღუპოს ის ნიადაგი, რომელზედაც აშენებულია თვით საზოგადოება, ე. ი. საწარმოვო ძალები. ამ შემთხვევისთვის სოც.-დემოკრატიას უწინ და ახლაც, სწამდა, რომ საჭიროა კლასთა ბრძოლის ერთგვარ ნორმალურ პირობებში ჩაყენება, მიტომ, რომ თვით მიზანია არა კლასთა ბრძოლა, არამედ საწარმოვო ორგანიზაცია. ეს მით უფრო აუცილებელია, როდესაც სახელმწიფოს სათავეში უდგანან თვით მუშათა კლასის წარმომადგენელნი. აი, სწორეთ, ასეთ შემთხვევისთვის ჩვენი პარტია მომხრეა „შემარიგებელი კამერების“, „სატარიფო პალატების“ და სხ. აქ კომუნისტი მუშა ვერ აღმოაჩენს ვერავითარ წინააღმდეგობას ს. დემოკრატიის თეორიასა და პრაქტიკას შორის.

არ არის მართალი აგრეთვე ავტორის მტკიცება, რომ ჩვენმა პარტიამ შეიცვალა უწინდელი შეხედულება სარწმუნოება-ეკლესიაზე. მას ახლაც მიაჩნია, რომ სარწმუნოება, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, არსებობს „ხალხის დასაბრმავებლათ და დასაბეჩავებლათ“ და ჩვენი მთავრობა ერთ კაპეიკსაც არ იღებს მის დასაცავათ. მაგრამ ჩვენი ს. დემოკრატიული მთავრობა იღებს და შემდეგშიაც გაიღებს თანხას ხაზინიდან იმ ეკლესიების შესაკეთებლათ, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიულს, იშვიათს, ჩვენთვის ძვირფასს ძეგლებს. ხალხის ქმნილების, ხუროთმოძღვრების განსაცვიფრებელ მაგალითის საჭიროებისთვის პროლეტარიატი ფულს ყოველთვის გაიღებს, რადგან ის პირველი დამცველია კულტურისა და ცივილიზაციის. ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითი ეხება სწორეთ ასეთ ძვირფას ნაშთებს და ის ჩვენი პარტიის შესარცხვენათ ვერ გამოდგება.

თქვენ გვასწავლიდით, — გვეუბნება კომუნისტი მუშა,—„რომ მშრომელი და დამონებული ხალხისთვის არ იყო ხელსაყრელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი განკერძოება; მისთვის სჯობდა ერთი, მთლიანი ქვეყანა, განთავისუფლებული ყოველივე კერძოობიდან“ და ახლა კი ასე არ იქცევითო. აქ ავტორი ალბათ, ლაპარაკობს ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ან, როგორც თვით სწერს, „განკერძოებაზე“ და ამაში ის ხედავს ჩვენი პრინციპების დავიწყებას. დამახასიათებელი აღსარებაა!

ავტორი, სჩანს, არ არის კმაყოფილი ჩვენი დამოუკიდებლობით. ეს მაშინ, როდესაც იმავე ნომერში სხვა წერილების ავტორები გვარწმუნებენ, რომ ეს დამოუკიდებლობა ჩვენი ძველი შეხედულების გამარჯვებაა! მაგრამ ეს სხვათა შორის. არსებითათ რომ ამ ჩვენს „ცოდვას“ შევეხოთ, ავტორის დასკვნა გაუგებრობის შედეგია.

კომუნისტი მუშა ვერ დაასახელებს ვერც ერთს ნაწარმოებს მისი ყოფილ მასწავლებლებისას, სადაც ისინი მუშებს ეუბნებოდენ, რომ არ არის სასურველი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობა, რომ სჯობს არსებობდეს ქვეყანაზე ერთი დიდი სახელმწიფო. ეს ს.-დემოკრატიას არას დროს არ უთქვამს. ასეთ მსოფლიო სახელმწიფოზე ოცნება უფრო ფანტაზიურ და უტოპისტ კოსმოპოლიტების საქმე იყო. პირიქით, ს.-დემოკრატიას იდეალათ მიაჩნდა ის მდგომარეობა, რომელიც გამოიხატებოდა ფორმულაში: „ერთი ერი, ერთი სახელმწიფო“. მრავალ ერიან სახელმწიფოში კი, სადაც ეს ფორმულა არ განხორციელდებოდა, მას ქონდა სხვადასხვა პროექტი ეროვნულ საკითხის გადასაჭრელათ.

ამნაირათ, ის წინააღმდეგობანი, რომლებიც კომუნისტ მუშამ აღმოაჩინა ჩვენი პარტიის წარსულსა და აწმყოს შორის, ნამდვილათ არ არსებობენ.

მაგრამ აქ ერთი გარემოებაა ყურადსაღები. ავტორი ფიქრობს, რომ ის, რასაც ჩვენი პარტია აკეთებდა რევოლიუციამდის, ეთანხმებოდა მარქსის „კომუნისტურ მანიფესტს“, დღეს კი მას უღალატია ამ უკანასკნელის პრინციპებისათვის. ამიტომ თვით „მანიფესტის“ სახელწოდება „კომუნისტური“ აძლევს ჩვენს ავტორს საბუთს გახდეს „კომუნისტი“, რაც იგივეა, რომ მიემხროს ბალშევიკთა პარტიას. მართალია ეს? ამაზე შემდეგ.

**ალ. ჟორჟოლიანი.**

შინ, როდესაც ბაზალელ ახალგაზდობამ გადასწყვიტა სახალხო გვარდიის შედგენა და მეთაურობა მიანდო თვის ღვიძლ ძმასა და მეგობარს ტატე შუშიაშვილს, რომელიც ნათლიათვე გადაიქცა ბაზალელთა სიყვარულისა და გმირობისა.

პირველად ეს სოფელი მიჰხვდა, რომ ვისაც უყვარს სამშობლო, მას მისი მტრებიც უნდა სძაგდეს და ამიტომ არამც თუ მარტო გვარდიელები და ჯარისკაცები გაჰგზავნა ფრონტზე, მან ილიკო ბექაურის მეთაურობით მოხალისეთა გუნდიც შეადგინა და გვარდიელებს დაადევნა: არ შედრკეთ თქვენ იბრძოლეთ მამაცათ და ჩვენ ახალ-ახალ ძალებს მოგაშველებთო.

დუშეთის მაზრის ხალხი იმაზე ბევრათ უკეთესია, ვიდრე ბევრსა ჰგონია. თვალი დაუდგა გონებრივ სიბნელეს, რომ ისაა ტიალ მემკვიდრეობათ გამოყოლილი და მან შეიყვანა შეცდომაში ორი წლის წინათ მომხდარი აჯანყებით მტერი გაახარა, თორემ ბუნება არა აქვს გაუკულმართებული. საკმარისი იყო შეეგნებინებინათ, აეხსნათ საქმის ნამდვილი ვითარება, რომ მყის გარდაქმნილიყვნენ.

დუშეთის სწავლა-განათლებაზე არავის უზრუნია. აქაური ხალხი ძველს მთავრობას განგებ ჰყავდა ყველაზე მეტს სიბნელეში იმიტომ, რომ ეს მაზრა გაშენებულია სამხედრო გზის გასწვრივ, წარმოადგენს ჩრდილოეთის კარებს და განათლებული ხალხი მუდამ საშიშო იქნებოდა რუსეთისათვის. ჯერ ბნელი იყო ეს კუთხე, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მათი ამბოხებით მოსვენება არ ჰქონდა, ვინაიდან ხალხი არ ურიგდებოდა რუსის ჯარების და სარდლების ველურობას და უკმეხობას. განვითარებული ხალხი ხომ უფრო იგრძნობდა მონობას და შეეცდებოდა განთავისუფლებას. ამიტომ ჰყავდათ ეს კუთხე სიბნელეში და ესაა მიზეზი, რომ საქართველოს ყველა მაზრაზე დუშეთია ჩამორჩენილი.

მოჰფინეთ მას განათლების შუქი, მიაშველეთ მას გულწრფელი, ხალხის სიყვარულით გამსჭვალული მასწავლებლები, ერობა-თემის მოღვაწეები და მაშინ ურწმუნონიც კი აღტაცებაში მოვლენ ამ ხალხის სიდარბაისლე-სიმამაცით და გამჭრიახობით; მაშინ ყველა მოიხიბლება მათით და უყოყმანოდ წარმოსთქვამს:

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
უხვი, მხნე, კლდე-გულოვანი,
მებრძოლი თავის ბედისა".

**დ. თურდოსპირელი.**

# პროფ. კავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია

(გაგრძელება).

მე-3 სხდომა.

**კოოპერაცია და მუშათა კლასი.**

მოხსენებას აკეთებს ამხ. ირემაშვილი. მიმდინარე რევოლიუციის ხანაში მთელი ყურადღება ექცეოდა ცხოვრების პოლიტიკურ მხარეს, ეკონომიურს კი — ნაკლები, მაგრამ რამდენიც სახელმწიფოებრივი ცხოვრება ვითარდება, იმდენათ ეკონომიურ საკითხებს უფრო მეტი ყურადღება ექცევა. მუშათა მოძრაობას 3 სახე აქვს: პოლიტიკური, პროფესიონალური და კოოპერატიული; მიზანი კი ერთი—ჩაგვრისაგან განთავისუფლება. ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, პოლიტიკურსა და კოოპერატიულ მოძრაობაში ერთგვარი კონტაქტი უნდა იყოს. ორივეს აქვს მუშათა კლასისთვის დიდი მნიშვნელობა. თუ იგი ეკონომიურათ მოღონიერდება, მაშინ პოლიტიკურადაც გაიმარჯვებს, მუშათა კლასი უნდა ეცადოს ხელში ჩაიგდოს კოოპერატივები, როგორც ბრძოლის საშუალება. პროფესიონალურ მოძრაობის ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ მუშები კოოპერატივებში.

ამას გარდა, კონტაქტი უნდა იყოს პროფ. კავშირებსა და კოოპერატივის არა სავაჭრო განყოფილების მოქმედების შორის. ცხარე კამათის შემდეგ კრება იღებს ამხ. ირემაშვილის დებულებებს.

**მუშათა პრესა.**

ამ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოდის ცენ. კომ. წევრი **შ. აბდუშელიშვილი.** საქართველოს პროფესიონალურ ორგანიზაციების ორგანო „მუშათა ცხოვრება" ამ ჟამად უკვე აღარ განიცდის იდეურ და ფინანსიურ გაჭირვებას. ჟურნალი საკმაოთ ვრცელდება და მის გარშემო შემოკრბენ თანამშრომლები. თანდათან ჟურნალი უმჯობესდება და უკეთეს პირობებში დგება. მხოლოდ ამას აფერხებს კიდევ ის გარემოება, რომ ზოგიერთი კავშირი ხელს არ უწყობს მის გავრცელებას და არც გაყიდულ ჟურნალების ფულს იხდიან. სხვადასხვა კავშირს ამ ჟამად აღმას. კომიტეტისა ჰმართებთ 150,000 მ. გაყიდულ ჟურნალის ფასის სახით. ამის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული ზომები, წინააღმდეგ, ჟურნალის საქმე შეფერხდება და იქნებ დაიხუროს კიდევაც. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ჟურნალის ყოველკვირეულათ გამოცემა, რადგან 2 კვირის განმავლობაში ჟურნალის მასალა ძველდება და მის გამოსვლისას, როგორც წერილები, ისე ცნობები დაძველებულია. ყოველკვირეულათ გადაქცევა ეხლავე შეუძლებელია, მაგრამ ყრილობამ ეს სურვილის სახით უნდა მიიღოს. სხვათა შორის ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას რკ. გზელებთან ორივე მუშათა ორგანოს გაერთიანების შესახებ, მაგრამ რაღაც მიზეზებით დღემდე ვერ ხერხდება.

ჟურნალი გამოდის ორ ენაზე; რუსული იბეჭდება 1500 ცალი, ქართული 3500 ცალი. აქედან ნახევარი თფილისში ვრცელდება. ქართული ჟურნალის თანამშრომლების უმრავლესობას თვით მუშები შეადგენენ.

ამხ. **ცენტერაძე.** ჟურნალის ნაკლია ის, რომ მასში მეთაურები პროფესიონალურ საკითხებზე არ იწერება. ჟურნალი რომ კვირეულად გადაიქცეს ნაკლები გავა, რკინის გზელებთან კი მისი შეერთება მოუხერხებელია.

ამხ. **ა. ხელაძე.** იმ გარემოებას, რომ რუსული ჟურნალი ქართულს იდეურის მხრით სჯობია ხსნის იმით, რომ კავშირებში კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. ორატორი მოითხოვს, რომ ჟურნალში მოაქციონ ახალი ძალები.

ამხ. **ღლონტი.** მოითხოვს წინადადება მიეცეს სხვა კავშირებს ცალკე ორგანოებს ნუ სცემენ და ერთი ჟურნალის გარშემო შემოკრბენ, რომელიც კვირეულათ უნდა გადაიქცეს.

ამხ. **ს. დობორჯგინიძე** და **ზაქრაძე** საჭიროთ სცნობენ აგრეთვე ჟურნალის ყოველ კვირეულად გამოცემას და მასში პროფესიონალურ საკითხებზე მეტი ყურადღების მიქცევას.

ამხ. **წულაძე** მიზანშეწონილათ სთვლის ამ ჟამათ ჟურნალი 2 კვირეულათ დარჩეს, მას მიეცეს სავსებით პროფესიონალურ ორგანოს ხასიათი, შემდეგ კი შეიძლება მისი ყოველკვირეულათ გადაქცევა, თუ ეს ხელსაყრელი იქნება და შესაძლებელი.

დანარჩენი ორატორებიც აღნიშნავენ ამავე ნაკლს.

ამხ. **შ. აბდუშელი** ამბობს, რომ მისი ცდა, რომ რაც შეიძლება მეტი ძალები შემოეკრიბა ჟურნალის გარშემო, უშედეგო იყო მთელ წლის განმავლობაში. ორატორების მიერ აღნიშნული ჟურნალის ნაკლი აიხსნება იმით, რომ ჩვენ არა გვყავს პროფესიონალურ საკითხების თეორეტიკოსები. რაც შეეხება მუშათა შესახებ ინფორმაციის სისუსტეს, მასში ბრალი ედება თვით კავშირებში მომუშავე ამხანაგებს, რომლებიც ძალიან ნაკლებათ აწვდიან ჟურნალს ცნობებს.

კრება ადგენს ჟურნალი დარჩეს ჯერჯერობით 2 კვირეულათ და თუ შესაძლებელი იქნება, შემდეგ გადაიქცეს იგი ყოველკვირეულათ, მიღებულ იქნეს ზომები მისი შანაარსის გასაუმჯობესებლად და მოხდეს რკინის გზელების ორგანოს მასთან გაერთიანება.

**5 პროც. გადასახადი და ანკეტა.**

შ. აბდუშელიშვილი მოახსენებს კრებას, რომ 5 პროცენტიანი გადასახადი წესიერათ არ შემოდის, ხოლო ბევრ ორგანიზაციას იგი სრულიად არ შემოაქვს.

კრება ადგენს: ყველა ორგანიზაციებს ერთი თვის ვადა მიეცეს ვალის გადასახდელათ. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ არ გადაიხადეს, გამოცხადდეს ისინი გაზეთში, ხოლო თუ კიდევ ერთი თვის შემდეგ არ შემოიტანეს ხვედრი ფული, გამორიცხონ საბჭოდან და წაერთვათ ყრილობაში მონაწილეობის უფლება.

მუშათა მდგომარეობის გამოსარკვევათ წარმოებულ ანკეტის შესახებ კრება ადგენს: ადგილობრივ ორგანიზაციებს ევალებათ ხელი შეუწყონ ანკეტის მოხდენას.

(დასასრული იქნება).

# ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 3 ივნისს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა კრება ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით.

პირველად მოხსენებას აკეთებს ცენტრიდან ამხ. ბახტაძე. მოხსენებას კრება ღებულობს ცნობათ. შემდეგ კრება ადგენს, რომ ნაძალადევის უბნის სახალხო გვარდიელთა საერთო კრებაზე უსათუოდ ესწრებოდენ, რაიონულ პოლიტიკურ ორგანიზ. და პროფეს. კავშირების ს. დ. ფრაქციის წარმომადგენლები. კოლექტივის ბიუროს ახალი ბინის გამოძებნა მიენდო პრეზიდიუმს. ამხ. ს. დოლიძეს მოთხოვნით განხილულ იქნა საკითხი—კომუნისტების პარტიის ლეგალიზაცია—ყველა ორატორები ემბობს, რომ ბოლშევიკებმა თავიანთი სიტყვა სინდისიერათ შეასრულონ, რომ ბოლშევიკებმა თავიანთ მუშაობას იდეური ხასიათი მისცენ—რახან მათი ლეგალიზაცია მოხდა, ჩვენც ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ და მათ წინააღმდეგ აუარებელი მასალა გვაქვს და ბავშვის მოტყუებაც კი აღარ შეუძლიანთ ბოლშევიკებსო.

მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ ყველა ამტკიცებს, რომ მას დღევანდელი ხელფასით ცხოვრება არ ძალუძს და შიმშილს განიცდის. ამ საკითხის შესახებ კრებას ერთხმად გამოაქვს დადგენილება. პირველი რაიონული კოლექტივი მიაქცევს სერიოზულ ყურადღებას პარტიულ ხელმძღვანელ ორგანოებისას, რათა საჩქაროთ იქნეს ზომები მიღებული მუშების ნივთიერი უმწეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ... ბოლოს კოლექტივის დადგენილებით თანახმათ საგამომძიებლო კომისიის მოხსენებისა გარიცხულია პარტიიდან:

საქონლ. და სახალ. სადგურებიდან, წესდების 3, მუხ. თანახმად—საწევრო გადასახადის თავის დროზე არ შემოტანისათვის 1) ურიდია სამსონ ეგნატეს ძე, 2) მიქაბერიძე შალვა ბიჭიას ძე, 3) ლელუაშვილი გიორგი დავითის ძე, 4) კურტანიძე ბესარიონ მერაბის ძე, 5) გონგაძე ივანე მიხეილის ძე, 6) ხაჩიძე მიხეილ ამირანის ძე, 7) პატარიძე კოსტანტინ ექვთიმეს ძე, 8) მგალობლიშვილი ბეგლარ ექვთიმეს ძე, 9) ზოზაძე ნიკიფორე ილარიონის ძე, 10) კალანდაძე გრიგოლ თეიმურაზის ძე, 11) ჯანაშია ასლან ხუხიას ძე, 12) ჯიქია ნიკოლოზ უტუას ძე, 13) ჩრდილელი სოლომონ ბესარიონის ძე, 14) მინაშვილი ქრისტეფორე გრიგორის ძე, 15) თევდორიანი აკაკი იოსების ძე, 16) ბერიანიძე ზაქარა სპირდონის ძე, 17) ჯავახაძე ილარიონ ნიკოლოზის ძე, 18) მონასელიძე სოლომონ გიორგის ძე, 19) შერმანდინ რაჟდენ ზურაბის ძე, 20) სირია გრიგოლ დავითის ძე, 23) გონგლიაშვილი დავით, 24) ფხალაძე გაბრიელ ვასილის ძე, 25) ბერუაშვილი ონისიმ გიორგის ძე, რკინის გზების მთავარ სახელოსნოებიდან. 26) მარღიშვილი ივანე ზაქარიას ძე, 27) გიორგიევი ალექს. გიორგის ძე, 28) კროვატევ იაკობ ივანეს ძე, 29) ბახტაძე ალექს. პლატონ ძე, 30) აკოფაშვილი ალექსი მიხაილის ძე, 31) ბარიაშვილი პავლე მიხეილის ძე.

მე 3 და 17 მუხ.

32) ხოშტარია თედორე გიორგის ძე, 33) პომერანცევა მოსე ვოლფის ძე, 34) თათარაშვილი მიხაილ ივანეს ძე, 35) მაზმიშვილი არშაკ ესტატეს ძე, 36) ბეგამიშვილი ალექსან. დავითის ძე, 37) ჯიქია ირაკლი გლახუას ძე,

მე 17 მუხ. სხვადასხვა ჩადენილ ბოროტ-მოქმედებებისათვის — ქურდობისათვის.

საქ. და სახალ. სადგურებიდან. 38) ჩაგმაველი ზაქარა ქიტესას ძე, 39) ჩიგოგიძე ალექსან. გიორგის ძე, 40) აბზანიძე ეპიფანე გიორგის ძე.

რკინის გზის მთავარ სახელოსნოებ: 41) ფეიქრიშვილი ავეტიკ გიორგის ძე, 42) ბუშკინ ვასილ ივანეს ძე, 43) აზმაიპარაშვილი ლაზარე ესტატეს ძე, 44) ქორიძე ლეონტი სილიბისტროს ძე—ორგანიზ. ნდობით თავის პირად ინტერესების გამოყენებისათვის.

დეპოდგან: 45) ყარამიანც ალექსანდრე ავეტოვის ძე—კონტრაბანდისტი. მუშებიდგან შემდგარ დელეგაციის რუსეთში გაგზავნას—იქაურ მდგომარეობის გასაცნობათ კრება სიამოვნებით შეხვდა—და მოითხოვს, რომ საჩქაროთ იქნეს რუსეთში გაგზავნილი ასეთი დელეგაციები.

---

7 ივნისს ნაძალადევის კლუბის შენობაში შესდგა ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა საერთო კრება ამხ. მიხა ძამანაშვილის თავმჯდომარეობით.

პირველათ მოხსენებას აკეთებს ჩვენი საზავო დელეგაციასთან ერთად რუსეთიდან დაბრუნებული ამხ. დ. სალირაშვილი რუსეთის საერთო მდგომარეობაზე. მომხსენებელს ღრმა დაკვირვებით შეუსწავლია თანამედროვე რუსეთის მდგომარეობა, ალჭურვილია აუარებელი ცოცხალი ფაქტებით, მოხსენებას გადმოსცემს დალაგებით, მასისთვის გასაგებ ენით. მისი მოხსენება ნამდვილი სარკეა დღევანდელ რუსეთის სინამდვილისა. მომხსენებელს დიდის გულმოდგინებით უსმენდნენ და ბოლოს მრავალ შეკითხვებსაც აძლევდენ. მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. დ. სალირაშვილის საქართველოს და საბჭოთა რუსეთის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა საერთო კრება გამოსთქვამს სიხარულს და ფიცს სდებს, რომ თავის მხრივ დაიცავს ხელშეკრულებას მტკიცეთ და სინდისიერათ აგრეთვე სხვასაც არავის მისცემს ნებას მისი დარღვევისას. ამასთანავე კრება მოითხოვს პარტიულ ხელმძღვანელ ორგანოებისგან მიღებულ იქნეს ზომები რუსეთში მუშებისაგან შემდგარ დელეგაციების გასაგზავნათ—რუსეთის მდგომარეობის ადგილობრივათ გასაცნობათ.

ბოლოს კრებამ დაამტკიცა კანდიდატთა სია—პარტიულ ყრილობაზე დელეგატების გასაგზავნათ: 1) ჟორდანია ნოე, 2) რამიშვილი ნოე, 3) ცინცაბაძე გრიგოლ, 4) ძამანაშვილი მიხეილ, 5) ბახტაძე გიორგი, 6) გიორგაძე ილია, 7) მაჭარაძე კოლა, 8) ლორთქიფანიძე დავით, 9) მანჯგალაძე დავით.

კანდიდატები: 1) მეგრელიშვილი თეოფანე,2) ფარქოსაძე სტეფანე ივანესძე 3) კუტალაძე ელისაბედი ოსიფმეს ასული.

მდივანი **გ. ფოფხაძე.**

# მუშათა შორის

**მომ'იგებელი კამერა.** თფ. ცენტრალური მომრიგებელ კამერის მუშათა სექციამ თავის უკანასკნელ სხდომაზე სექციის პრეზიდიუმი აირჩია. თავმჯდომარეთ ი. ვ. ჩხატარიშვილი. პრინციპიალურ საკითხების გადასაწყვეტათ სექცია თვეში ორჯერ შეიკრიბება. ამ სხდომაზე სექციამ სხვათა შორის განიხილა საკასაციო ინსტანციის საკითხი. მიიღეს შემდეგი დადგენილება: შრომის სასამართლოს დაარსებამდე, სექციას აუცილებლად მიაჩნია კამერის გადაწყვეტილებათა კასსაციის უფლება, მეთვალყურის წესით, შრომის სამინისტროს მიეცეს იმ პირობით, რომ სამინისტროსთან დაარსებული იქნეს კოლეგიალური ორგანო, რომელშიაც სათათბირო ხმით შევლენ კამერის წევრებიდანაც ისინი, ვინც საქმის განხილვას დაესწრო.

---

**„ნემსის" პროლეტარების კავშირში.** „ნემსის" პროლეტარიების კავშირის საერთო სხდომაზე 7 ივნისს მიიღეს დადგენილება: წინადადება მისცენ მწარმოებელთ ერთი კვირის განმავლობაში ხელი მოაწერონ კოლექტიურ ხელშეკრულებას. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლებმა უარი განაცხადეს, მიმართონ უკიდურეს საშუალებას—გაფიცვას. გაფიცვის დღე კავშირის გამგეობამ უნდა გადასწყვიტოს. ეს დადგენილება მიღებულ იქნა 61 ხმით 2-ის წინააღმდეგ. აირჩიეს 7 კაცისაგან შემდგარი გაფიცვის კომისია.

---

**სატარიფო პალატამ ხელზემოსამსახურეთა** კავშირს აცნობა, რომ თანახმად 21 მაისის სატარიფო პალატის დადგენილებისა, იმ მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფო მომარაგების ფონდით და არ იღებენ დამქირავებლებიდან პურს და სხვა, დამქირავებლებმა უნდა მისცენ გარდა სატარიფო პალატის მიერ დადგენილ სამუშაო ხელფასისა, განსაკუთრებული ჯილდო. სახელდობრ 25 % იმ თანხისა, რომელიც განსაზღვრულია სატარიფო პალატის მიერ, მაგრამ არა უმეტეს 40 მან. დღეში თუ მოსამსახურე დღიურათ იღებს ხელფასს და არა უმეტეს 1000 მან. თუ იგი ამ ხელფასს თვიურათ იღებს. დადგენილება ესე შედის ძალაში 1920 წლის პირველ ივნისიდან.

---

**მუშათა უფასო წამლობა.** შრომის სამინისტრომ სახელმწიფო კანტროლს თხოვნით მიმართა, რომ მან ფოთში თავის წარმომადგენელს შესაფერი განკარგულება გაუგზავნოს, რათა მან ნავთსადგურის მმართველობის მიერ მუშათა საექიმოთ გამოწერილი ასიგნოვკები გამოუშვას. შრომის სამინისტროს თხოვნა წარმოსდგა ნავთსადგურის მუშების განცხადების გამო, სადაც ნათქვამი იყო, რომ დღიურ მუშებს ნავთსადგურის სამმართველო არ უწევს უფასო საექიმო დახმარებასო.

პროფესიონალურ კავშირთა სხვადასხვა გამგეობებმა შრომის სამინისტროს და პროფ. კავშირის საბჭოს მიმართეს განცხადებით, სადაც აღნიშნავენ, რომ კანონი მუშების დაზღვევის შესახებს ავათმყოფობის შემთხვევის დროს) არ ვრცელდება ისეთს შრომის კატეგორიებზე, როგორიც არიან მაგალ. სავაჭრო-სამრეწველოებისა, ხელზე მოსამსახურენი და საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურენი ამავე დროს ეს ძლიერ საჭიროა და ამიტომ აუცილებელია კანონმდებლობითი ნორმა დაზღვევისა უბედურ შემთხვევებისა და ავათმყოფობის დროს. ამიტომ პროფ. კავშირები ითხოვენ, რომ დაზღვევის კანონი მოკლე ხანში ყველა დაქირავებულ მოსამსახურეებზე გავრცელდეს.

---

**თამბაქოზე მომუშავეთა რიცხვის შემოკლება.** სავაჭრო და სამრეწველო დეპარტამენტში დასკვნისათვის შევიდა საქმე ქუთაისში არსებულ ქავთარაძის თამბაქოს ქარხნის წარმოების შემცირების და მუშების ნაწილის დათხოვნის შესახებ. შემცირების მიზეზი მექარხნის განცხადებით არის სავალდებულო დადგენილება თამბაქოს ნაწარმოების იმ ფასებში გაყიდვა, რომელიც დადგენილ იქნა 1919 წელს 20 აგვისტოს, და რომელიც ველარ ფარავს წარმოების ღირებულებას, ვინაიდან ამის გამო უმუშევართა რიცხვი გაიზარდა, უკვე აღძრულია საკითხი თამბაქოს წარმოების ფასების გადასინჯვის შესახებ. ეს საკითხი უახლოეს დროში გაირჩევა სააქციზო სამმართველოში, ვინაიდან ამასთან ერთად ამავე ხასიათის საკითხი აღძრულია საქართველოს თამბაქოს ქარხანათა კავშირის მიერ.

---

**ქალაქის და სოფლის მუშების ჯამაგირები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა სამაზრო ერობათა გამგეობებს და ქალაქის თვითმართველობებს დაუგზავნა სახელმძღვანელოთ ცირკულიარი, რომელშიაც იტყობინება, რომ შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით მუშებისათვის დაწესებულია შემდეგი საშუალო მინიმალური ჯამაგირი: ქალაქის—2700—3000 მან. თვეში; სოფლის 1800—2000 მან. ამ ჯამაგირების მიხედვით ქალაქის მუშების დახმარება უნდა შემოიფარგლოს 1800—2000 მანეთით, სოფლის მუშებისათვის კი 1200—1350 მანეთით. ობლებს, ქვრივებს და ნათესავებს, რომლებსაც კანონით აქვთ დახმარების მიღების უფლება, დახმარება მიეცემათ ასეთი აწეულ ნორმების მიხედვით.

# წერ. რედაქციის მიმართ

(პატარა განმარტება ივ. გომართელის წერილში „რაჭა-ლეჩხუმში" მოთავსებულ ერთი ცნობის გამო).

პატივცემული ივ. გომართელისთვის ჰიორლებისაგან მიწოდებული ცნობები არ შეეფერება სინამდვილეს: ჰიორლებისთვის ბორჩალოში გადასახლების ნებართვა გადასახლების განყოფილებას არ მიუცია, ვინაიდან ჯერ სავსებით გამორკვეული არ იყო ხსენებულ მაზრაში გადასახლების შესაძლებლობა (ბორჩალოს სამაზრო ერობის ზოგიერთ მოღვაწეთა პასსიური წინააღმდეგობის გამო), ჰიორლებს მიეცათ მიწერილობა ბორჩალოს ერობის სახელზე ცოპის საფონდო მიწები მათთვის საიჯაროთ გადაცემის შესახებ, სანამ დასახლების საკითხი საბოლოოდ გამოირკვეოდეს. ამ მიწერილობით დაიმედებულმა ჰიორლების რწმუნებულებმა გამოიწვიეს თავისი რწმუნებულები სოფლიდან. ჩამოვიდა მხოლოდ 30 ვაჟკაცი საიჯარო მიწების სამუშაოდ (და არა 75 ჰიორიდან აყრილი გლეხი, როგორც ივ. გომართლის წერილშია მოხსენებული). სანამ ისინი ჩამოვიდოდნენ, მიწები ადგილობრივ მცხოვრებლებს დაეხნათ, მიუხედავათ განყოფილებისაგან წინასწარ მოხდენილ განკარგულებისა, რომ ხელი არ ეხლოთ ამ მიწებისათვის. ამ გარემოების გამო მიღებულ იქნა ზომები ბორჩალოს მაზრის სხვა ადგილებში დაუხნავი საფონდო მიწების გამოსაძებნად, მაგრამ არსად ასეთი არ აღმოჩნდა. მაშინ ჰიორლებს მიეცათ წინადადება წასულიყვნენ განყოფილების დახმარებით (მიეცემოდათ საგზაო ბილეთი და თესლი), დროებით მაინც ახალქალაქის მაზრაში ან ყარაიაზში, სადაც იმ დროს დაუხნავი მიწები ბევრი იყო, მაგრამ ჰიორლებმა ეს არ ისურვეს და უკან დაბრუნდნენ. მათი ჰიორიდან აყრისა და ყველაფრის გაყიდვის შესახებ რომ მართალი არ არის, ეს სჩანს იქიდან, რომ ისინი ამაზე დეპეშით იტყობინებოდენ ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მხოლოდ თხოვნა ჰქონდათ შემოტანილი და არავითარი იმედი არ მიუცია მათთვის განყოფილებას ბორჩალოში გადასახლებისა.

ამ ჟამად მიღებულია ყოველივე ზომა, რომ ჰიორლები გადასახლებულ იქნენ ბორჩალოს მაზრაში და თუ იქ გადასახლება არ მოხერხდა, ახალქალაქის მაზრაში, რომლის ჰავა და ადგილმდებარეობა ყველა რაიონებზე უფრო შეეფერება რაჭის მკვიდრთა აგებულებას და სამეურნეო ცხოვრებას.

**ი. მა'უაშვილი.**


# განცხადებანი

**დავკარგე**
**სახლის წიგნი** და ვთვლით გაუქმებულათ.
**მარგარიტა ლალანიძე.**
(1868 1—1)

**ახალი წიგნი**
გამოვიდა და იყიდება წ.-კითხვის საზოგ. წ. მაღაზიაში (რუსთაველის პრ. № 9) შ. ბერიძის
**„მეგრული ენა. შესავალი და მასალები.**
ფ. 100 მ. გვ. 220.
(1843—2—2)

ყარაიაზში
**დავკარგე**
სიღნაღის სამხედრო აღრიცხვის უფროსის მიერ მოცემული ლურჯი ბილეთი და მეტრიკა. ვაცხადებ გაუქმებულათ.
არუთინ აღალოს ძე ოგადჟანოვი.
(1861—1—1)

**იყიდება**
**საკერავი მაშინა ზინგერისა**
ფეხის და მასთან მოწყობილია ხელის საკერავათაც. შესდგება სხვადასხვა საკერავ საქარგავ საგნებიდან. გაგება შეიძლება ყოველ დღე, სასტუმრო „პოლე როიალში" დამფუძნებელი კრების ქ. № 8. იკითხეთ შვეიცართან დილის 9 ს. 2 საათამდე. (1873—1—1)

**იყიდება**
**მეწველი ძროხა.**
**ნაძალადევი,** რუსთაველის ქუჩა № 33.
(1849 2—2)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

კბილის ექიმი
**ე. თ. ლორის-მელიკოვი ჯიბლაძისა**
და მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანასტასიას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—6)

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი **ივ. გოკიელი**
პლეხანოვის (მიხეილის), პრ[illegible] № 141, სამხედრო სასწავლებლის [illegible]. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 1—97. (1835—თ.)

ექიმი
**კ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი
**ზ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე **პოლოხი**
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(1741—თ.)

ექიმი
**ნ. ლ. ტერიაშვილი**
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

თ ზ უ რ გ ე თ ში
ექიმი **აბაშიძე**
ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში.
(კუპ. 396.)

ექიმი
**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **მ. გოლშტეინი**
თვალით ავათმყოფი (სათვაალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე **პოლოხი**
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
**ე. მ. მძინარიშვილი**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—2)

კახელ მევენახეთა და მეღვინეთა აქციონერული საზოგადოება
**„კახური ღვინო"-ს გამგეობა**
ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ
**წლიური საზოგადო კრება**
დანიშნულია 4 ივლისს 1920 წელს ქ. თფილისში დილის 11 ს. ცენტრობანკის ბინაში. განსახილველია 1) წარსული 1919 წ. ანგარიში, 2) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) მოხსენება სარევიზიო კომისიის და გამგეობისა, 4) სხვადასხვა კითხვები და 5) სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევნები. (1871 1—1)

**განცხადება**
თფილისის სახალხო მომღერალ-მგალობელთა საამხანაგო გუნდის გამგეობა ამით აცხადებს პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ აღნიშნული გუნდი
**მიხეილ კავსაძის**
ლოტბარობით იღებს მონაწილეობას როგორც ადგილობრივ აგრეთვე პროვინციაშიც ყოველ-გვარ წარმოდგენებში კონცერტებში, სალიტერატურო საღამოებში და სხ... აგრეთვე ასრულებს საეკლესიო გალობებსაც. როგორც გუნდში ჩაწერა აგრეთვე ყოველგვარ ცნობების მიღება გუნდის გაწვევის შესახებ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გამგეობის მდივან თედო თურქაძესთან, მისამართი: სახელმწიფო კანტროლი გრიბოედოვის ქ. № 19 დილის 10—1 საათამდის
**გუნდის გამგეობა.** (1865—2—1)